ახალი განათლება

2012 წელი, 3 – 9 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№28 (582) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

მეცნიერულად „აყირავებული“ სამყარო

გვერდი 8–9

მეთოდიკა

ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

გვერდი 5

რეზო სირაძის ხსოვნას

სახისმეტყველებითი განმარტებანი

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“

გვერდი 6–7

იურისტის კონსულტაცია

პედაგოგთა შეკითხვებს პასუხობს სპმთპ-ს იურისტი თამარ პავლიანი

გვერდი 10

ეროვნული



„რა არის რა“
50-ტომეული

ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

უ. სომერსეტ მოემი
ჭრელი საბურველი

ჯონ ბრეინი
მზე ელიზისაკენ

ჯეკ ლონდონი
დიდი სახლის პატარა დიასახლისი

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

ინფორმაცია

* * *

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული მოსწავლე-გამომგონებელთა საერთაშორისო კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი 2012“ დასკვნითი ტური გაიმართა. ყველაზე ინოვაციური ნამუშევრები ექსპო-ჯორჯიას საგამოფენო პავილიონში გამოიფინა. წარმოდგენილი 44 პროექტიდან 8 უცხოელი მოზარდების მიერ იყო შექმნილი. ამავე დღეს, გამარჯვებული პროექტების ავტორებიც დაჯილდოვდნენ.

გამოვლინდა ერთი გრანპრის, 1 პირველი ადგილის, 2 მეორე ადგილისა და 3 მესამე ადგილის მფლობელი პროექტი. გრანპრის მფლობელი გაემგზავრება უცხოეთში სასწავლო-შემეცნებითი ტურით. I ადგილზე გასული პროექტის ავტორს 5000 ლარი გადაეცა, II ადგილზე – 3000-3 000 ლარი, III ადგილზე გასული პროექტების ავტორებს 2000-2000 ლარი. კახეთის გუბერნიამ 1500 ლარით, ქუთაისის მერიამ კი 1000 ლარით დააჯილდოვეს კახეთის რეგიონიდან და ქალაქ ქუთაისიდან წარმოდგენილი საუკეთესო ნამუშევრების ავტორები.

გამოვლინდა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული პროექტები, რომელთა ავტორები კომპანიამ „ბილაინი“ მობილური ტელეფონებით დააჯილდოვა. ფავორიტი პროექტი გამოავლინა საქპატენტმაც, რომლის წარმომადგენელმა გრანპრის მფლობელი პროექტის ავტორს ტელეფონი SAMSUNG Galaxy გადასცა.

კონკურსში მონაწილეობდნენ მოსწავლეები დედაქალაქიდან და საქართველოს ყველა რეგიონიდან, ასევე თურქეთიდან, უკრაინიდან და სომხეთიდან. მოსწავლეთა ნამუშევრები წარმოდგენილი იყო ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის დისციპლინების მიმართულებებით, ასევე გამოგონებები იყო სასოფლო-სამეურნეო, ენერგეტიკის და საინჟინრო სფეროებში.

მოსწავლე გამომგონებელთა საერთაშორისო კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ , რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მეორე წელია ატარებს, გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების წახალისებასა და მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება.

* * *

ბათუმის ახლად გახსნილ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერთა ფორუმი გაიმართა. ფორუმში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერები და საქართველოში მოღვაწე 80 მკვლევარი.

უცხოეთში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერები საქართველოს აკადემიური წრეების წარმომადგენლების წინაშე სამეცნიერო მოხსენებებით წარდგნენ. სტუმრები გაეცნენ სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში განხორციელებულ სიახლეებსა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე კვლევით საქმიანობას.

ფორუმის მიზანი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სამეცნიერო პოტენციალის მოზიდვა, მათი გამოცდილებისა და კონტაქტების დახმარებით საქართველოს კვლევითი საქმიანობის განვითარება და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა.

სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულე მეცნიერთა საქართველოს ინტელექტუალურ და სამეცნიერო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით, არაერთ საგრანტო კონკურსს ახორციელებს. ამ მიმართულებით ჩამოყალიბდა და უკვე მიმდინარეობს ახალი კონკურსები, რომელთა იდეა ორი წლის წინ გამართულ ანალოგიურ ფორუმზე დაიბადა.

* * *

მასწავლებლის სახლი პედაგოგებს ახალ მომსახურებას – Skype კონსულტაციას სთავაზობს. კონსულტაციის მიმდინარეობას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი დაესწრნენ. Skype ვიდეოზარით თბილისის 143-ე და წეროვანის მე-3 საჯარო სკოლების პედაგოგებმა ისარგებლეს.

ნებისმიერ პედაგოგს მასწავლებლის სახლის საგნობრივ კონსულტანტებთან გასაუბრება Skype-ით შეეძლებათ.

ეს სიახლე მათ საშუალებას მისცემს როგორც საკუთარ საგანში, ისე პროფესიულ უნარებში არსებულ ნებისმიერ კითხვაზე უმოკლეს დროში მიიღონ პასუხი. კონსულტაციის მისაღებად თითოეული მათგანი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.tpdc.ge) უნდა დარეგისტრირდეს.

მასწავლებლის სახლი პედაგოგებს, Skype ვიდეოზარის გარდა, კონსულტანტებთან პირად შეხვედრებსაც სთავაზობს. შეხვედრაზე დასასწრებად ნებისმიერმა დაინტერესებულმა პედაგოგმა რეგისტრაცია ცენტრის ვებგვერდზე უნდა გაიაროს.

* * *

გლდანში თანამედროვე სტანდარტების პროფესიული კოლეჯი გაიხსნა. კოლეჯი საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით აშენდა და მის ფუნქციონირებას პატრონაჟს მიხეილ სააკაშვილი გაუწევს.

კოლეჯში სწავლის მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, ტექნიკური დარგების მიმართულებით, ისეთ მოთხოვნად პროფესიებს დაეუფლონ, როგორიცაა: მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის) ოპერატორი, ელექტრიკოსი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ბუღალტერი და სხვ. კოლეჯში პროფესიის ათვისება ყველა ასაკის მსურველს შეეძლება.

ახალი პროფესიული კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ინვენტარითაა აღჭურვილი. გლდანში პროფესიული ცენტრის გახსნის მიზანი თბილისის გარეუბნებში მცხოვრები მოსახლეობის გადამზადება და მათი დასაქმებისთვის ხელშეწყობაა. კეთილმოეწყობა ცენტრის მიმდებარე ინფრასტრუქტურაც, შენდება საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი, რომელიც ყველა მსურველისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

დღეისათვის, პროფესიული განათლება სახელმწოფო პრიორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების კუთხით, მნიშვნელოვან რეფორმებს ატარებს. სამინისტრო ზრუნავს როგორც კოლეჯების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციაზე, ასევე იმაზე, რომ პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების მიერ მომზადებული კადრები შრომის ბაზრის მოთხოვნებს პასუხობდნენ.

ინფორმაცია

* * *

მასწავლებლის სახლში ფრანგული ენის ტრენერებისთვის სპეციალური ტრენინგი გაიმართა.

5 დღის განმავლობაში ფრანგი ექსპერტი პიერ სალამი ფრანგული ენის ტრენერებს უტარებდა ტრენინგს თემებზე, თუ როგორია ტრენინგების დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდები, აცნობდა ფრანგული ენის სწავლებისას კლასში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და სხვადასხვა რესურსების მოძიება/გამოყენების საშუალებებს.

ტრენინგი განხორციელდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტისა და საფრანგეთის პედაგოგიური კვლევის საერთაშორისო ცენტრის (CIEP) მხარდაჭერით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტს შორის მემორანდუმი 2012 წელს გაფორმდა, რის ფარგლებშიც აქტიურად გრძელდება თანამშრომლობა.

* * *

აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გია აბულაძემ და საქართველოში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამის (GIZ) „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ (PSDP SC GE) ხელმძღვანელმა ბრანკო ვინერტიმ აჭარაში ტურიზმის სექტორში სამუშაო ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლებისა და მომზადების შესაძლებლობების გაუმჯობესების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მიმდინარე წელს, ახორციელებს ტურიზმის განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივ პროგრამას, რომლის მიზანია ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან ადაპტირება.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე, დაიგეგმა ტურიზმის ბაზრის კვლევა. პროექტის ფარგლებში, ასევე, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ზალცბურგის ტურიზმის სკოლასა და ზალცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის.

აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში

იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის.

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, თერთმეტი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან იმუშავებენ 2013-2015 სასწავლო წლების განმავლობაში, ინგლისური ენის სწავლების დონისა და ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის დანერგვის მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: ***კახეთი, მცხეთა-მთიანეთი*** (ახალგორის მუნიციპალიტეტის გარდა), **ქვემო ქართლი, შიდა ქართლი** (მხოლოდ ხაშურის მუნიციპალიტეტი), **სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი** (*საჩხერის მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ქალაქი საჩხერე*), ***სამეგრელო*** (აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტები), **რაჭა-ლეჩხუმი**.

თუ თქვენი სკოლა ზემოთ აღნიშნულ რეგიონშია, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი ბადე შეადგენს **26 საათს** და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2013-2015 აკადემიურ წლებში, გაეცანით საინფორმაციო დანართს და დაიტოვეთ სკოლაში, შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე), მასპინძელი ოჯახის განაცხადები (ქართულ ენაზე) და ფორმები მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ᵇ, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: **education@ge.peacecorps.gov**

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შეესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა **15 ოქტომბერი, 2012 წელი.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
განათლების პროგრამის ხელმძღვანელებს: **ასმათ სიხარულიძეს** (აღმოსავლეთი) ან **თეო ნეფარიძეს** (დასავლეთი).

ტელეფონი: (0 32) 224 12 24; ფაქსი: (032) 239 91 06

სოფლის სკოლა

მთაში დარჩენილ ხევსურეთს...

ირაკლი თავაძე

შატილი – კავკასიონის პირქუშ მთებში ჩამალული სოფელი საქართველოსა და ჩეჩნეთის საზღვარზე, ისტორიულად ხევსურეთის ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში და დღესაც სტრატეგიულად უაღრესად აქტუალურია. ის კვლავაც რჩება ხევსურეთის ყველაზე მრავალრიცხოვან დასახლებულ პუნქტად და იქაა პირიქითა ხევსურეთის ერთადერთი საჯარო სკოლა. წლეულს, 17 სექტემბერს, იქაურ სკოლაშიც დაირეკა ზარი 11 მოსწავლისთვის, ოღონდ არა პირველკლასელთათვის – სამწუხაროდ, სკოლას ახალი მოსწავლეები არ მიუღია. თუმცა, პირველი კლასი არაა ერთადერთი, სადაც მასწავლებელი არ შედის – იქაურებს არც IV, VI, VII და IX კლასები ჰყავთ. მოსწავლეთა სიმცირეს პედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობაც ემატება. სწავლის დაწყების მომენტში ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის მასწავლებლებიც აკლდათ. თუმცა, როგორც სკოლის დირექტორმა **შოთა (აპარეკა) ჭინჭარაულმა** გვითხრა, ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი მოიძებნა. ახლა საჭიროა ფიზიკის მასწავლებელი და ვიმედოვნებთ, მსურველი გამოჩნდება. ასევე პრობლემაა სასკოლო წიგნებიც. იმედია, გამოჩნდებიან შატილელ მოსწავლეთა დახმარების მსურველები...

მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი დროებით სამუშაოდაა ასული ბარიდან, რომლებიც ჩვეულებრივ ხელფასთან ერთად, დამატებით, სახელმწიფოსგან 500-ლარიან ანაზღაურებას იღებენ, მთის რეგიონებთან დაკავშირებით არსებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ისინი სკოლასთან არსებულ პანსიონში ცხოვრობენ, რომელსაც დუშეთის მუნიციპალიტეტი აფინანსებს. ადრე სკოლაც და პანსიონიც ერთად იყო გაერთიანებული და ჯერ სკოლა-ინტერნატი, მერე კი სკოლა-პანსიონი ერქვა, ახლა კი ორ დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდა. როგორც სკოლაში გვითხრეს, პანსიონი კარგად მარაგდება და პრობლემები არ აქვთ. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ პანსიონში, მასწავლებელთა გვერდით, მოსწავლეებიც ცხოვრობენ. მათი უმეტესობა შატილელია, მაგრამ რამდენიმე ბავშვი მიღმა ხევის ვრცელ ტერიტორიაზე გაბნეული სოფლებიდან – მუცოდან და ხონიჭალადან დადის, არიან ბარიდან ასული ბავშვებიც, რომელთა მშობლები ჯერ ისევ ბარში ცხოვრობენ, თუმცა ნელ-ნელა ემზადებიან მთაში დასაბრუნებლად. ეს ბავშვები პანსიონში რჩებიან, თუმცა მიღმა ხეველები შაბათ-კვირას სახლებში ბრუნდებიან, ოღონდ მკაცრ ზამთარში, როცა აქაურ ვიწრო გზებს ბარაქიანი თოვლი რამდენიმე თვით ჩაკეტავს, ხშირად ესეც შეუძლებელია.

სამწუხაროდ, მიღმა ხევში, ზემოდასახელებული ორი სოფლის გარდა, სხვაგან ბავშვებიც აღარ არიან, თუმცა იქ არც სოფელი შემორჩა ბევრი. ბოლო წლებში ოჯახების უმეტესობამ სწორედ სკოლის პრობლემის გამო დატოვა საცხოვრებელი და ბარში გადმოსახლდა – ანდაქიდან და არდოტიდან შატილი მეტისმეტად შორსაა, ხონესა და ხახაბოში ბავშვიანი ოჯახები აღარ არიან, არჭილო კარგა ხნის წინ დაიცალა მოსახლეობისგან... სამწუხაროა, რომ სახელმწიფომ დღემდე ვერ გადაჭრა ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული კუთხის უმწვავესი პრობლემები. საბედნიეროდ, ძირითადად დუშეთის მუნიციპალიტეტის ძალისხმევით, შატილი-მუცომდე (თუ საჭიროა – არდოტამდეც) თბილისიდან მიკროავტობუსი დადის, მაგრამ ზამთარში დათვიჯვრის უღელტეხილი 6-8 თვით იკეტება და იქაურობა მოწყვეტილია სამყაროს. თავად შატილის სკოლაში ინტერნეტი აღარ მუშაობს, რაც ადრე იქაურებისთვის გარესამყაროსთან დაკავშირების ერთადერთი საშუალება იყო, ახლა კი მობილურიც იჭერს. სატელეფონო კავშირის გაუმჯობესება დიდი შეღავათი იყო იქაურებისთვის, თუმცა შატილს იქით ტელეფონი უკვე ვეღარ იჭერს. იმ დანარჩენებისთვის ელექტროენერგიაც უცხო ხილია. შესაბამისად, არ აქვთ ტელევიზორი და სხვა საოჯახო ელექტროტექნიკა. შატილში კი, ადგილობრივი მიკროჰესი მუშაობს და სოფელს აკმაყოფილებს. ოღონდ დენის სიმძლავრე დაბალია და ელექტროტექნიკას დიდად მაინც ვერ იყენებენ. ვფიქრობ, სახელმწიფოს, თუნდაც იმ მიკროჰესის გაძლიერების ხარჯზე, ამ პრობლემის მოგვარება არ უნდა გაუჭირდეს, რაც დიდი სტიმული იქნება იქაური სოფლების ასაღორძინებლად და ბოლო წლებში გაღვიძებულ მთაში დაბრუნების სურვილს დიდ ბიძგს მისცემს, წინაპართა ნაფუძარზე ხევსურთა დაბრუნებით კი ქართული საქმე გაკეთდება.

ძველი ქართული ტრადიციული სამოსის გამოფენა

ლალი ჯელაძე

27 სექტემბერს, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში, გაიხსნა გამოფენა „ძველი ქართული ტრადიციული სამოსი“, რომელზეც წარმოდგენილი იყო საქართველოს კუთხეებისათვის დამახასიათებელი ქალისა და მამაკაცის თავსაბურავები და თავსამკაულები. ექსპოზიცია გაფორმდა ეთნოგრაფიული ნივთებით, ქართული ფარდაგებით, ფოტოსურათებით, ქართული ტრადიციული და კავკასიის სხვადასხვა ეთნოსის თოჯინებით.

ქართული ტრადიციული სამოსი თავისებური, მრავალფეროვანი, გარემო პირობებზე მორგებული და განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საერთო აქვს ზოგადკავკასიურ ჩაცმულობასთან.

ოდითგანვე განსხვავებული იყო მაღალი და დაბალი წრის, აზნაურისა და უაზნოს შესამოსელი. მეფეთა

და დიდგვაროვანთა (ფეოდალთა) სამოსის ნიმუშები აღდგენილია სტელების, ტაძართა ფასადებისა და ფრესკების (ვარძიის, ბეთანიის, ყინცვისის, ბერთუბნის, სვეტიცხოვლის, ატენის სიონის, ზარზმის, საფარის, იერუსალიმის, ჯვრის მონასტრის, უბისას, ლაშთხვერის, გელათის და სხვ.), ქართული ხატების, მონეტების, ლიტერატურულ-ისტორიული წყაროებისა („ქართლის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“) და მოგზაურთა ჩანახატ-ჩანაწერების მიხედვით (არქანჯელო ლამბერტი, ქრისტეფორო დე კასტელი). ზოგიერთ ეკლესია-მონასტერს შემორჩა მასობრივი სცენების ამსახველი ფრესკები და კედლის მხატვრობა (სვეტიცხოველი, ატენის სიონი, ბეთანია...) მასის (ხალხის) სამოსით, რომლებზეც აშკარად ჩანს სამოსლის სხვადასხვაობა.

საქართველოში არსებობდა სოციალური ნიშნით გამორჩეული სამოსელი – საზოგადოების ყოველი ფენა განსხვავებულ სამოსს ატარებდა, სახელწოდებაც შესაფერისი ჰქონდა: სამეფო, სადედოფლო, საერისკაცო, სამღვდელმთავრო, საბერო, სამონაზვნო, სამხედრო, საღარიბო, სადიაცო, საკაცო, სავაჭრო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო.

ქართული ტრადიციული სამოსლის უძველესი ფორმები შემოინახა საქართველოს მთიანეთმა. თარგის ორიგინალობითა და შესრულების ხელოვნებით კავკასიაში ბადალი არ მოეძებნება ხევსურულ ტალავარს – ფერთა შეხამებით, ქართული ორნამენტებით, სამკაულებით მორთვის ტექნიკით.

რაც შეეხება ევროპულ სამოსელს, მან საქართველოში, და საზოგადოდ კავკასიაში, მე-19 საუკუნის II ნახევრიდან მოიკიდა ფეხი.

ცისანა მარინდაშვილი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი: *„ამ პროექტზე დაახლოებით ორი წელი ვიმუშავეთ. ფაქტობრივად, ძველი ქართული სამოსი ოჯახებში აღარ არსებობს ან იშვიათობაა. ძირითადად, რეგიონების მუზეუმებშია შემორჩენილი მათი კუთხის დამახასიათებელი ძველი სამოსი, თუმცა არა ყველგან. ჩვენ გვინდოდა, თავი მოგვეყარა და ერთ სივრცეში მოგვეთავსებინა ქართული ტრადიციული სამოსი, გამოფენის სახით. ამისთვის თითქმის ყველა რაიონი, სოფელი ოჯახ-ოჯახ შემოვიარეთ და შევაგროვეთ შემორჩენილი სამოსის მცირე ნაწილი. ასე შეგროვდა საექსპოზიციოდ ქართული ტანსაცმელი. პარალელურად, გარდა ამისა, ვაგროვებდით ძველ ფოტოებს, სადაც წინაპრები სწორედ ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოწყობილები არიან გადაღებულნი. ფოტოებზე, გარდა სამოსისა, აღბეჭდილია ყოფითი ელემენტებიც, ეს კი, გარკვეულწილად, იმდროინდელი ქართველის, ზოგადად, ყოფით შთაბეჭდილებას ქმნის.*

კუთხეების მიხედვით წარმოდგენილ ქართულ სამოსს დავურთეთ ეთნოელემენტებიც – ნივთები, ფარდაგები, რაც კონკრეტული კუთხისთვისაა დამახასიათებელი და რომელთა ერთობლიობამ დამთვალიერებელს ნამდვილად მისცა იმის საშუალება, თუნდაც წუთიერად, იმოგზაუროს საუკუნეების წინანდელ საქართველოში. რაც შეეხება ექსპონატებს, ქართულ სამოსს, არც ერთი საუკუნეზე ნაკლები ხნის არ არის. მეტიც, ზოგიერთი მათგანი ორსაუკუნენახევარს ითვლის.

ვფიქრობთ, ჩვენი ჩანაფიქრი რეალობად ვაქციეთ – ქართული ტრადიციული სამოსით, ფოტომასალითა და ეთნოელემენტებით დამთვალიერებელს საქართველოს კუთხეებში– ხევსურეთი, მიღმა ხევი, თუშეთი, ფშავი, აჭარა, მესხეთი, რაჭა, კახეთი, ხევი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი – ვამოგზაურებთ.“

მეთოდიკა

ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ომის კანონი. გამტარების მიმდევრობითი და პარალელური შეერთება

ამოცანა 74.

ვიპოვოთ R_1 გამტარის წინაღობა ამპერმეტრისა (I=5ა) და ვოლტმეტრის (U=100 ვ) ჩვენებების მეშვეობით წრედში, რომელიც სურათზეა გამოსახული, თუ ვოლტმეტრის წინაღობა R_2=2,5 კომს. რას უდრის R_1-ის განსაზღვრის ცდომილება, თუ გამოთვლების დროს ვოლტმეტრში გამავალ დენის ძალას უგულებელვყოფთ?



ამოხსნა:

ვოლტმეტრის ჩვენება $U=I_1R_1=I_2R_2$. სრული დენის ძალა $I=I_1+I_2$, ამიტომ $R_1=\frac{U}{I_1}=\frac{U}{I-I_2}$. რადგან $I_2=\frac{U}{R_2}$, ამიტომ $R_1=\frac{UR_2}{IR_2-I_2R_2}=\frac{UR_2}{IR_2-U}=\frac{100\cdot 2500}{5\cdot 2500-100}\approx 20{,}16$ ომი.

იმ შემთხვევაში, თუ ვოლტმეტრში გამავალ დენის ძალას, I_2-ს, არ გავითვალისწინებთ, საძიებელი წინაღობა $R_1^{'}=\frac{U}{I}=20$ ომი. ამ წინაღობის განსაზღვრის ცდომილება იქნება: $\Delta R_1=R_1-R_1^{'}=16$ ომი, საიდანაც ფარდობითი ცდომილება $\frac{\Delta R_1}{R_1}=\frac{0{,}16}{20{,}16}\approx 0{,}008=0{,}8\%$

ამოცანა 75

წრედი შედგება სამი ერთნაირი რეზისტორისა და ვოლტმეტრისგან (იხ. სურათი). პირველი და მესამე ვოლტმეტრის ჩვენებებია: U_1=10 ვ და U_3=8 ვ. ვიპოვოთ მეორე ვოლტმეტრის ჩვენება U_2.



ამოხსნა:

აღვნიშნოთ ვოლტმეტრების წინაღობა **r**-ით, რეზისტორების **R**-ით. მესამე რეზისტორში დენის ძალა ტოლია მესამე ვოლტმეტრში დენის ძალის: $I_3=\frac{U_3}{r}$. ამავე რეზისტორის ბოლოებზე ძაბვა ტოლია $U_3^{'}=\frac{U_3}{r}R$. ამ რეზისტორზე და მესამე ვოლტმეტრზე ძაბვების ჯამი ტოლია საძიებელი ძაბვის: $U_2=U_3+U_3^{'}=U_3\left(1+\frac{R}{r}\right)$. მეორე რეზისტორში დენის ძალა ტოლია მეორე და მესამე ვოლტმეტრებში გამავალი დენების ჯამისა: $I_2^{'}=I_2+I_3$, სადაც $I_2=\frac{U_2}{r}$, მეორე რეზისტორის ბოლოებზე ძაბვა ტოლია $U_2^{'}=I_2^{'}R=\left(\frac{U_2}{r}+\frac{U_3}{r}\right)R=\frac{(U_2+U_3)}{r}R$. მეორე რეზისტორზე და მეორე ვოლტმეტრზე ძაბვების ჯამი ტოლია პირველი ვოლტმეტრის ჩვენების: $U_1=U_2+\frac{(U_2+U_3)}{r}R$. აქედან განვსაზღვროთ **R/r** : $\frac{R}{r}=\frac{U_1-U_2}{U_2+U_3}$. და ჩავსვათ (1)-ში: $U_1=U_3\left(1+\frac{U_1-U_2}{U_2+U_3}\right)$. ამ გამოსახულების გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ კვადრატულ განტოლებას U_2-ის მიმართ: $U_2^2+U_3U_2-U_3(U_1+U_3)=0$, ან $U_2^2+8U_2-144=0$. ამ განტოლების ამოხსნა გვაძლევს: $U_2\approx 8{,}6$ ვ.

ამოცანა 76

ერთნაირი, **R** წინაღობის გამტარებისგან შეადგინეს უსასრულო წრედი (იხ. სურ. 1). განვსაზღვროთ ამ წრედის წინაღობა.



სურ. 1

ამოხსნა:

აღნიშნული წრედი შედგება უსასრულო რაოდენობის ერთნაირი ელემენტებისგან (იხ. სურ. 2). რადგან წრედი უსასრულოა, მაშინ მასზე ერთი ელემენტის დამატებით ან გამოკლებით წრედის წინაღობა Rx არ უნდა შეიცვალოს, ამიტომ მოცემული წრედის ეკვივალენტური წრედის სქემა ისე შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც სურ. 3-ზეა გამოსახული.



სურ. 2



სურ. 3

მიღებული ეკვივალენტური წრედის წინაღობა $R_x=R+\frac{R\cdot R_x}{R+R_x}$. ამ განტოლების გარდაქმნის შედეგად მივიღებთ ასეთი სახის კვადრატულ განტოლებას: $R_x^2-RR_x-R^2=0$ რომლის ამოხსნისას მივიღებთ: $R_x=\frac{R}{2}\left(1+\sqrt{5}\right)$.

ამოცანა 77

ვიპოვოთ **ab** მავთულში გამავალი დენის ძალა (იხ.სურ.). ამ მავთულის, დანარჩენი სადენებისა და დენის წყაროს შიდა წინაღობა უგულებელვყოთ.



ამოხსნა:

გამტარში დენის ძალა ტოლი იქნება ზედა გამტარებში გამავალი დენების სხვაობის: $I=I_1-I_2$ (1). მოცემული წრედი წარმოადგენს გამტარების ორი წყვილის მიმდევრობით შეერთებას, რომლის სქემის მიხედვით მარცხენა ნაწილია **r** გამტარების პარალელური შეერთება, მარჯვენა კი – **r** და **2r** გამტარების ასევე პარალელური შეერთება. ამის გათვალისწინებით წრედის საერთო წინაღობა $R=\frac{r}{2}+\frac{2r}{3}=\frac{7r}{6}$. წრედის განუშტოებელ ნაწილში (სრული) დენის ძალა $I_0=\frac{6U}{7r}$. წრედის მარცხენა ნაწილში თითოეულ გამტარში დენის ძალა მათი წინაღობების ტოლობის გამო $I_1=I_3=\frac{I_0}{2}=\frac{3U}{7r}$, სადაც I_3 მარცხენა ქვედა გამტარში გამავალი დენის ძალაა. წრედის მარჯვენა ნაწილშიც თითოეულ გამტარში დენების ჯამი ასევე I_0-ის ტოლი უნდა იყოს. თითოეული ამ გამტარის ბოლოებზე ძაბვების ტოლობის პირობიდან მივიღებთ: $I_2r=I_4 2r$, საიდანაც $I_4=\frac{I_2}{2}$, მეორე მხრივ, $I_2+I_4=I_0$, ამიტომ $I_2=\frac{2I_0}{3}=\frac{4U}{7r}$. დენების ეს მნიშვნელობები ჩავსვათ (1) -ში. მივიღებთ: $I=\frac{3U}{7r}-\frac{4U}{7r}=-\frac{U}{7r}$. ნიშანი „მინუსი“ გვიჩვენებს, რომ დენის მიმართულება მოცემულ წრედში არის არა **a**-დან **b**-სკენ, როგორც ჩვენ ამოხსნის დასაწყისში ჩავთვალეთ, არამედ პირიქით, ანუ $I=\frac{U}{7r}$.

ამოცანა 78

განვსაზღვროთ **C** კონდენსატორის მუხტი სურათზე გამოსახულ სქემაზე. დენის წყაროს შიდა წინაღობა უგულებელვყოთ.



ამოხსნა:

C, 2C და **3C** ტევადობის კონდენსატორების მუხტები აღვნიშნოთ შესაბამისად q_1 , q_2 და q_3. თუ ჩავთვლით, რომ კონდენსატორის მარჯვენა ფირფიტა დადებითადაა დამუხტული და თუ გავითვალისწინებთ, რომ სამივე კონდენსატორის შიდა ფირფიტები ერთმანეთთანაა შეერთებული და დანარჩენი წრედისგან იზოლირებულია, მუხტის შენახვის კანონის თანახმად შეგვიძლია დავწეროთ: $q_3=q_1+q_2$ (1). გარდა ამისა შეგვიძლია დავწეროთ ძაბვების ტოლობის ორი პირობა: $\mathcal{E}=\frac{q_2}{2C}+\frac{q_3}{3C}$ (2) და $U_1=\frac{q_1}{C}+\frac{q_3}{3C}$ (3), სადაც (2) ფორმულაში პირველი შესაკრები **2C** ტევადობის კონდენსატორის ბოლოებზე ძაბვაა, მეორე შესაკრები – **3C** ტევადობის კონდენსატორის ბოლოებზე ძაბვა; (3) ფორმულაში U_1 არის **2R** წინაღობის გამტარის ბოლოებზე ძაბვა, რომელიც ტოლია $\frac{2\mathcal{E}}{3}$-ის, შესაკრებები კი **C** და **3C** კონდენსატორებზე ძაბვები. ამ ფორმულებში q_3-ის მნიშვნელობის შეტანით (1) ფორმულიდან, მივიღებთ: $\mathcal{E}=\frac{q_2}{2C}+\frac{q_1+q_2}{3C}$, $\frac{2\varepsilon}{3}=\frac{q_1}{C}+\frac{q_1+q_2}{3C}$. ამ ორი ფორმულიდან q_2-ის გამორიცხვით მივიღებთ: $q_1=\frac{2\varepsilon C}{9}$.

თეიმურაზ გაჩეჩილაძე
აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე

ფიქრის კაცი

რეზო სირაძის ხსოვნას

ეს კაცი ჩვენი მასწავლებელია. არა მხოლოდ ლიტერატურის – ღირსებისაც. გაგვიჭირდება მასზე ლაპარაკისას გამოვიყენოთ სიტყვა „იყო“, რომელიც ამ შემთხვევაში ფერმკრთალი და დარცხვენილია. ადამიანები ბევრნაირად ამახსოვრდებათ. ბატონი რეზო (არც მოგვიხსენიებია სხვაგვარად არასდროს) არა მხოლოდ დიდი მეცნიერი-ლიტერატურისმცოდნეა, რომლის ნაშრომებსაც მრავალი თაობისათვის გზისმკვლევის მნიშვნელობა ექნება, არამედ კეთილშობილი ადამიანი – გარშემომყოფთ ურთიერთობის სიმსუბუქესა და სინატიფეს რომ ანიჭებს. ძნელად გავიხსენებთ სხვას ისეთს, ამგვარი ადამიანური ესთეტიკით რომ აზავებდეს ერთმანეთს სიბრძნესა და სიხალისეს, ამაღლებულობასა და უბრალოებას. ყოველთვის მომხიბვლელი იყო და არის ამ ადამიანის თვისება აღმოაჩინოს საგანსა თუ მოვლენაში მისი იდუმალი არსება – ისეთი რამ, რაც მანამდე სხვათათვის არა მხოლოდ შეუმჩნეველი, არამედ წარმოუდგენელიც იყო

მას ყოველთვის სურდა მოწაფეებისათვის (ისინი კი ბევრნი არიან) ესწავლებინა, როგორც თავად ამბობდა, „ფიქრი ფიქრზე“ – ერთი შეხედვით, დაუნახველის შეგრძნება და გაცნობიერება. მასთან ყოველი შეხვედრა და განუმეორებელი საუბარი ისეთი გაკვეთილი იყო, რომელიც არ გავიწყდება. ამავდროულად, მისი ნაშრომები კლასიკური მაგალითია სინათლის, მკაფიოობის, აკადემიური სიღრმისა და ადამიანის ნიჭიერებასთან ზიარების. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა რეზომ ახალ განზომილებაში გადაიყვანა ქართული სალიტერატურო აზრი და შექმნა თავისი სამეცნიერო სკოლა.

მისკენ და მისი ფიქრის გასაცნობად ყოველთვის ილტვოდნენ ახალგაზრდების თაობები – ამ კაცთან ურთიერთობა არის, იყო და იქნება გონების სიხარული. ის „თანაფიქრის“ საშუალებას გაძლევდა. შეგეძლო არა მხოლოდ მისი აზრის თანამოზიარე გამხდარიყავი, არამედ საკუთარი თავი უფრო მეტად გამოგეხატა, ვიდრე ამას მანამდე ახერხებდი. ფიქრის ხანდახან გამაოგნებელ ორიგინალურობას ბატონი რეზო ზოგჯერ თვითირონიის ისეთ ნისლში გახვევდა, რომ მის მოწაფეებს გულღიად ეღიმებოდათ – რა ხშირად გაგვახსენდება მისი დახვეწილი და გემოვნებიანი ხუმრობები!

ამ ადამიანის გამორჩეული თვისება იყო სხვისი წარმატებით გახარება – არაერთხელ გავმხდარვართ იმის მოწმენი, თუ რა კეთილგანწყობით (ზოგჯერ აღტაცებითაც) საუბრობდა რომელიმე ცნობილი მეცნიერისა თუ უბრალოდ სტუდენტის მიგნებაზე – მისი შექება ნებისმიერი ჩვენგანისთვის უმაღლესი ჯილდო იყო. ვერასდროს დავივიწყებთ მასთან ერთად მუშაობას, როდესაც ის რედაქტორობას უწევდა ჩვენს ერთობლივ წიგნს „საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე“. ის მოუხსენიებლად იმყოფება ამ წიგნის ყოველ გვერდზე.

ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის მიწიერი სიცოცხლე, დიდად სამწუხაროდ, დასრულდა. დიდ სევდას გვიადვილებს იმის განცდა, რომ ახლა ის „არღარა სახითა და იგავითა ჰმსახურებს ზეცისათა მათ, არამედ პირსა ღმრთისასა პირისპირ ხედავს“. მის ცხოვრებას თამამად შეიძლება სხვებისთვის ვუწოდოთ „სიმძიმის სიმსუბუქე“. ის, რაც ძნელად ფიქრმისაწვდომი იყო, ამ კაცმა შედარებით ადვილად აღსაქმელი და გასააზრებელი გახადა. მას უყვარდა ადამიანი, უყვარდა ლიტერატურა და უყვარდა ადამიანი ლიტერატურაში. ამ დაუსრულებელ სიყვარულს მუდმივად და უშურველად უზიარებდა თავის მოწაფეებს – მისი წიგნები კი მთელ საზოგადოებას იმოწაფებენ.

ბატონი რეზო ხანდახან მკაცრიც გვინახავს, თუმცა ამას მხოლოდ „კეთილი სიმკაცრე“ შეიძლება ვუწოდოთ. ეს სიმკაცრე მისივე პრინციპულობის გამოხატულება გახლდათ – არ მოსწონდა და ვერ ეგუებოდა უვიცობას, უპასუხისმგებლობას, თვალთმაქცობასა თუ განზრახ არაობიექტურ მსჯელობას. თუმცა ასეთ შემთხვევებშიც არ კარგავდა წონასწორობასა და ბუნებრივ კეთილშობილებას.

ამ კაცმა ბევრი რამ გვასწავლა თავისი წიგნებით, საუბრებითა თუ ქცევით და ჩვენი მადლიერება მას ბოლო გზაზე გაჰყვება. მისი გაკვეთილები დაუვიწყარი, ნათელი და მუდმივად მნიშვნელოვანია. სწორედ ეს განწყობა არ გვაძლევს უფლებას ჩვენს მოძღვარზე ოდენ წარსულ დროში ვილაპარაკოთ – ბატონი რეზო თითოეული ჩვენგანისთვის არა მხოლოდ წარსული, არამედ აწმყო და მომავალიც არის – მისი სახება ჩვენი არსების განუყოფელი ნაწილია.

ასეთი ადამიანები მოდიან, მაგრამ აღარ მიდიან.

გია მურღულია,
გიორგი ალიგეგაშვილი,
ვასილ მაღლაფერიძე

თბილისი, 2012 წლის 5 სექტემბერი

სახისმეტყველებითი განმარტებანი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“

სიტყვის პოტენცია ყველაზე მეტად განსახოვნებაში ანუ სახისმეტყველებაში ვლინდება. სიტყვის სახისმეტყველებითი პოტენცია მოცემულია ენაში, ვითარცა სისტემაში. ამ აზრით ვამბობთ, რომ ენაში მოცემულია არა მხოლოდ ის, რაც იყო და არის, არამედ ისიც, რაც მომავალში გამოვლინდება.

ზოგადად ეს საერთოა ყოველი ენისათვის, მაგრამ სხვადასხვა ენაში ეს კონკრეტული სხვადასხვაობით ხდება. მეტადრე, განსხვავებანი თავს იჩენს სხვადასხვა ავტორთან. მიუხედავად ამისა, ყველასთვის საერთოა ენის განსახოვნებითი პოტენციალი.

ჰუმბოლტის ცნობილ პრინციპს როლან ბარტი ასე გადმოსცემდა (რენანის პოზიციათა განხილვისას):

„ენა მისგან წარმოშობილ შეტყობინებაზე არ დაიყვანება, მას შეუძლია ეს შეტყობინება განიცადოს და, არცთუ იშვიათად, ჩვენამდე მოიტანოს სრულიად განსხვავებული მრისხანე ხმიანობა, ვიდრე თვით შეტყობინების შინაარსია, რაღაც ისეთი, რომელიც თითქოს, ცნობიერებაზე მაღლა ლაგდება, სუბიექტის რაციონალური ხმის ზემოთ, – მბრძანებლური, დაჟინებული, დაუნდობელი ხმა თავად სტრუქტურისა, ხმა, რომელიც გვარეობითი კატეგორიით იწყებს ამეტყველებას“ (რ. ბარტი, რჩეული შრომები. სემიოტიკა. პოეტიკა. 1989. გვ. 519).

ეგევე შეიძლება ითქვას ცალკეულ სიტყვებზეც, რადგან სიტყვა ნაწილია მთელისა, მთელი ენის, ვითარცა სტრუქტურისა და მისი კანონზომიერების შემცველია. რ. ბარტის კვალობაზე თუ ვიტყოდით, ყოველი სიტყვა, გარდა კონკრეტული რაციონალური შინაარსისა, შეიცავს „კიდევ რაღაცას“. ეს „რაღაც“ შეიძლება გახდეს განსახოვნების საფუძველი. ამიტომ ნებისმიერი მწერლის სახისმეტყველების („მხატვრული აზროვნების“) თავისებურებანი შეუძლებელია შევისწავლოთ იმის გათვალისწინების გარეშე, თუ როგორ მიემართება იგი სიტყვის მუდმივთანმხლებ, ირაციონალურ, არაცნობიერ „რაღაც სხვას“. ეს „რაღაც“ არის ის უცნობი, რითაც სიტყვა სჭარბობს საგანს, ან მოვლენას. ამნაირი რამ კონკრეტულად არ განიმარტება, მაგრამ მისი არსებობა ყოველთვის იგულისხმება. იგი უპირველესად გრძნობას ეძლევა და არა – გონებას. ამისი დაშვება შეიძლება რაციონალური გზით და არა შეცნობა. სიტყვის ამნაირი თვისება ყველაზე მეტად სახისმეტყველებაში ცნაურდება. სწორედ ასე უნდა გავაშინაარსოთ თითქოსდა ზოგადად თავისთავად ცხადი პრობლემა, რომ მწერლის მხატვრული თავისებურებანი ვერ ამოიცნობა სიტყვასთან მისი დამოკიდებულების გათვალისწინების გარეშეო.

ამ მხრივ, საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ ანუ „ლექსიკონი ქართული“. წინასწარ შევნიშნავთ: როგორც ჩანს, „ლექსიკონი“ მაშინ გაიგეს „სიტყვის კონად“, რადგან „სიტყვას“ აღნიშნავდა „ლექსი“ (ასე ესმოდათ შემდეგშიაც: იხ. ლ. ლეჟავა. დიმიტრი ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკა“ (ცხრილები). – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXV, თბ., 1986, გვ. 234). უნდა ვიფიქროთ, რომ „სიტყვის კონა“ გულისხმობდა ენას ვითარცა სიტყვათა მთლიანობას.

ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“ ლექსიკოგრაფიული თხზულებაა და, ბუნებრივია, იგი უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს შესაბამისი თვალსაზრისით (ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ. 1964, 104-105). აღნიშნულია, რომ იგი არაა ჩვეულებრივი განმარტებითი ლექსიკონი და ბევრი რამით უახლოვდება ენციკლოპედიურ ლექსიკონებს. ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს: ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ძალზე ხშირად გვხვდება სიტყვათა სახისმეტყველებითი, ანუ სახეობრივი გააზრებანი. მხედველობაში გვაქვს ის, როცა განმარტებითი ლექსიკონებისთვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ ზუსტ დეფინიციებს ცვლის მხატვრული წარმოდგენები. მაგალითად: „დაწვა – ცეცხლით შეჭმა“, „შიშხინი – ქონის დუღილის ხმა“, „ბიბინი – ყვავილთ ფერადობა“, „დუღილი – ფოფინება“, „ლაქუცი – ძაღლის ალერსი“ (ამ სიტყვას სახისმეტყველებითი მნიშვნელობა ენიჭება, როცა ამას კაცზე ვიტყვით).

ასეთ შემთხვევაში სულხან-საბა ორბელიანი მოვლენის არსის ლოგიკურ განმარტებას ცვლის სახეობრივი წარმოდგენით: „თულემა – ძილით თავის კანტური“; „თრევა – მიწაზე მოაქვნდეს დებით“.

ამთავითვე გასათვალისწინებელია შემდეგი: ყოველი სახეობრიობა როდია ესთეტიკური ფაქტი. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ძველი სიტყვახმარებით და, კერძოდ, საბასთანაც, „სახე“ ყოველთვის არ გულისხმობს მხატვრულობას. მას შეიძლება ჰქონდეს რელიგიური შინაარსი, ანდა გულისხმობდეს ზოგადად მაგალითს, ნიმუშს ლოგიკური განმარტებისთვის.

მაგრამ სახეობრიობა მხატვრულობის პოტენციალს შეიცავს, ამიტომ, როცა საამისო შესაძლებლობა ისახება, ეს უყურადღებოდ არ უნდა გვრჩებოდეს.

საბა განმარტავს: „სახის შემოღება – იგავთა მოყვანააო“. „იგავი“ კი ასეა განმარტებული „(+13,24 მათე ZA)(+არაკი B) ესე არს სიტყვით მაგალითი, გინა საჩვენებელი, გინა მოსანიშნავიო“.

რაც მთავარია, საბა იცნობს და საყურადღებოდ განმარტავს „ხატოვნებას“.

„ხატოვნება“ (+1,2,6 დაბ.) ხატოვნება არს არსებითთა განყოფილებათაგან რეცა ხატოვანქმნილი და სახედადებული (სახედადებული B) არსებაჲ, რომელი დაჰნიშნავს სახოვანსა სახესა, ვითარ-იგი არსებაჲ ხატოვანქმნილი (სახედაბადებული სიულიერსა და მგრძნობელისა სხეულისაგან სრულმყოფელი ცხოველისა და კვალად მიმღებელი სიტყვიერისა და მოკვდავისა განასრულებს სახესა კაცისასა და ხატოვნებად სახელიღების, ვითარცა ხატოვანქმნილი არსება (ვრცლად 25 კათიღორიის თავში იძიე)“.

აქ მითითებული „კათიღორიის თავი“ გულისხმობს წმ. იოანე დამასკელის „წყაროს ცოდნისაჲს“ საფილოსოფოსო ნაწილს, კერძოდ, მის არსენ იყალთოელის თარგმანს, რომლიდანაც პირდაპირაა ამოღებული „ხატოვანების“ განმარტება (იხ. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ. რაფავას გამოცემა, თბ., 1976, გვ.119).

იოანე დამასკელთან ამას მოსდევს სხვა განმარტებანიც (მოგვყავს ეფრემ მცირის თარგმანით):

„წმინდანი მამანი სახედ სახოვნად განაწესებენ სახელსა არსებისა და ბუნებისა და ხატებისასა და ერთად უწოდენ არსებისა და ბუნებისა და სახის სახოვანსა სახესა; და ერთ-არსად და ერთ-ბუნებად და ერთ-ნათესავად და ერთ-ხატად უწოდენ მისივე სახოვნისა სახისა განუყოფელობასა“ (იქვე, გვ. 119).

არც საბასთან და არც იოანე დამასკელთან, ცხადია, მხატვრულობაზე არაფერია ნათქვამი და ეს არც იყო მოსალოდნელი (მხატვრულობის ფენომენი მთელს შუა საუკუნეებშიაც და თვით საბას დროისთვისაც კი არსად და არც ჩვენშიაც, არ ყოფილა გაცნობიერებული ვითარცა თვითმყოფი რაობა), მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები გარემოება: გააზრებულია, რომ სახეობრიობა წარმოაჩენს მოვლენის არსს, მოვლენა თავის პირველარსს უკავშირდება როგორც სახე. ამიტომ სახეობრიობა ამაღლებს მოვლენას თავის თავზე, სძენს მას უფრო მეტს, „რაღაც“ ისეთს, რაც მის მიღმა იგულისხმება. ამით კი უკვე ისახება გზა მოვლენის ესთეტიზაციისაკენ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ესთეტიკურობა მოვლენის უმაღლესი ღირსება იყო. ეს გამორიცხულია, როცა საქმე ეხება შუასაუკუნეობრივ სახისმეტყველებას. უმაღლესი ღირსებაა სიკეთე. სწორედ სიკეთესთან ზიარებას გულისხმობდა სახეობრიობა თუ ხატოვნება (შემთვევით როდია მითითებული საბასთან: დაბ. 1,26, რაც გულისხმობს ადამიანის შექმნას სახედ და ხატად ღვთისა). ესთეტიკურობა გამორიცხული იყო სიკეთესთან ზიარების გარეშე. სიკეთესთან ზიარება ქმნიდა საშუალებას, რათა შემდგომში მოვლენა ესთეტიკურადაც მიეჩნიათ. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი რამ ესთეტიკურის აღიარების ისტორიულ გზაზე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქამდე მივიდა საბა, როცა სიცრუის სიბრძნის მნიშვნელობა აღიარა, რაკი მან თავის ნაწარმოებს სათაურად მისცა „სიბრძნე სიცრუისა“. ეს გულისხმობს, რომ გამონაგონში, ამ შემთხვევაში, მხატვრულ „სიცრუეში“ შეიძლება იყოს სიბრძნე. ხოლო საბას განმარტებით, „სიბრძნე“ (+6,2 მარკ.), ესე არს მშობელი ჭკუისა და გამსჯელი ცნობათა, სიბრძნე და სივერაგე ემსგავსებიან:

სიბრძნე-კეთილ, სიერაგე – არა“.

„სიბრძნე-კეთილიაო“, – ამის კვალობაზე „სიბრძნე სიცრუისა“ უნდა გულისხმობდეს, რომ მხატვრულ სიბრძნეშიაც შეიძლება იყოს სიკეთე, ე.ი. სიკეთე შეიძლება იყოს გამონაგონ სახეშიაც, ანუ იგავში (გავიხსენოთ: „სახის შემოღება – იგავთ მოყვანააო“, ამდენად იგავთ მოყვანაც „სახისშემოღებაა“). „უსახური (18, 2 ესაია) – კეთილის უმოქმედოაო“, – განმარტავს საბა.

„სიბრძნე სიცრუისას“ ერთ არაკში გააზრებულია „კარგი სიცრუის“ ღირსება. ამ არაკს ჯუმბერი ამბობს: ყოფილა ორი ძმა, ერთი მეფეს ახლდა, მეორე შინ დარჩენილა, მეფეს პირველი ძმა მოგონილს, მაგრამ მომხიბვლელ ამბებს უთხრობდა. შინ მყოფს შურით უთქვამს: განა მე კი ვერ მოვუთხრობდი მეფეს ტყუილებსო. მოუყვანიათ მეფესთან. მას პირდაპირ ასე დაუწყია: „ჰაერთა შიგან ძაღლთა ყეფა მესმისო“. მეფე გააბრაზა ამგვარმა ამბავმა, სიკვდილსაც კი უპირებდა – თურმე მთხრობელს, მაგრამ იგი ძმას დაუცავს და ასე გაუმართლებია ძმის ნათქვამი: „ეგე ძმა ჩემი მწყემსია და ბრიყვი, თვარა ტყუვილი არ იქნება ამად, რომე არწივი ძაღლის ლეკვს აიტაცებდა ჰაერთა სიმაღლეთა შინა და მისი წკავ-წკავი შემოესმოდა. სიბრიყვითა მას ვერ გაუსინჯავს და ძაღლის ყეფად მოგახსენაო“. შემდეგ იმ მწყემსის ძმას უარესი უთქვამს: „ერთ ირემს ისარი შევტყორცე, ყური და ფერხი წარვკვეთე, დაეცა, მჟავით გარაოდ შეინვა და ვჭამეო“. ახლა მეფე უარესად გაბრაზებულა, მაგრამ კვლავ ძმას უხსნია: „ისარი კარგად იცის, ირემი ყურს თურმე იფხანდა, ისარი ესროლა და ორივე წარკვეთა. ირემი დაეცა, ისრის პირი ბასრისა იყო. თურმე მუნ ტალი დებულა, ისრის პირი სცემია, ცეცხლი დაუკვესებია, ჩალას მოსდებია, ირემი გაურუჯავს, მსხმოიარე მოცხრის ხე მდგარა, ის ზედა დასჭყლეტია, იგი უჭამია, მჟავით გარაო ჰქონებიაო“.

ეს უკვე შეუწყნარებია მეფეს. ამნაირი მონათხრობი ზემორეზე არანაკლებ დაუჯერებლია, ის მაინც მისაღები გამხდარა და ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ მას თავისებური მოტივირება და, ჩვენ ვიტყოდით, მხატვრული მოტივირება შეუძენია. ორივეს ეტყობა, რომ მონაგონია და სიცრუეა, მაგრამ მეორეა „მხატვრული სიცრუე“. ამგვარ სიცრუეში სიბრძნეა ხოლმე და ესაა მისი ძირითადი გამართლება.

ის, რაც აქ ერთ არაკზე ითქმის, შეიძლება გადავიტანოთ სიტყვაზეც. სიტყვებსაც აქვს იგავური მხარე. იგავური მხარე სიტყვისა გამონაგონია, „სიცრუეა“. მაგრამ სიბრძნის შემცველი „სიცრუეა“. სიტყვისთვის იგავური მნიშვნელობის მინიჭება სიბრძნით უნდა იყოს გაშუალებული, წინაადმდეგ შემთხვევაში, იგი აბსურდამდე მიგვიყვანს. სახისმეტყველებითი მნიშვნელობა სიტყვისა, გარკვეული აზრით, მისი იგავური შინაარსია. სიტყვის იგავურობა მისი ლოგოსური ბუნებიდან მომდინარეობს. იგი უკავშირდება ერთ არსებით პრობლემას: ესაა იგავური აზროვნების წესი. მთელი ქრისტიანული სახისმეტყველება აზროვნების იგავურ წესს მოჰყვება, იგავური აზროვნების წესი სახარებისეულ იგავებს ემყარება. სახარების იგავებითაა განსაზღვრული მისი რაობა. მთელი ძველი აღთქმაც იგავურად გაიგება. სახარების იგავები არაა უბრალო მაგალითები და არც მარტივად გაგებული უბრალოება. ისინი ითვალისწინებენ სიბრძნის სულიერ წვდომას და ესაა არსებითი. საბას იგავები საერო ხასიათისაა, მაგრამ ისინი არ შეიძლება მოწყვეტილი იყოს ევანგელურ პირველსათავეს. ეგეევ ითქმის სიტყვის იგავური მნიშვნელობის შესახებ.

„სიბრძნე სიცრუისაში“ ბევრი სახე თავისი ბუნებით, შეიძლება ითქვას, განმარტებითია (ცხადია, იგულისხმება სახისმეტყველებითი განმარტებანი). მაგალითად:

„ამხანაგი – ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაღლე დაურღვეველია...

ამხანაგი – ლხინი ფრიადია;

ამხანაგი – გულთა ნათელია“... („თათვალი“);

ამხანაგი – გულთა ნათელიაო, – ამ სახეში არაა ჩვეულებრივი მეტაფორა, არც ეპითეტი. მეტაფორას საზღვრული (აქ – ამხანაგი) არ სჭირდება, ამიტომ, ვფიქრობთ, ამგვარ სახეს უფრო მეტი კავშირი აქვს „სიტყვის კონაში“ მოცემულ სახისმეტყველებით გააზრებებთან: „კერპი – აჩრდილიაო არსებისა“, ან „სასმელი – სიკვდილი არსო“.

ამ მხრივ, საყურადღებო ტრადიციებს ვპოულობთ გრიგოლ ნაზიანზელთან: „სიცილი – ღაწუთა დუღილი“, „ქალწულობა – განსლვაჲ სხეულისაგან“, „მარხუა – მტერისა ბრძოლისა მიმართ გარსვლვა“. მთელი იამბიკო ასეა გამართული (ქ. ბეზარაშვილის გამოცემა. – თსუ შრომები (ლიტერატურათმცოდნეობა), 1989, გვ. 156-165).

რადგან ამგზობის ჩვენთვის უმთავრესია სიტყვათა საბასეული სახისმეტყველებითი გააზრებანი, მოვიხმობთ „სიტყვის“ საბასეულ განმარტებას:

„სიტყუა განიყოფების სიტყვიერებაჲ სულისაჲ შინაგან მდებარისა სტყვისა და ხმოვანისა მიმართ და არს შინაგანი მდებარე უკვე სიტყუაჲ მოძრაობა სულისაჲ განმსიტყველობითისა ძალისა შინა ქმნილი თვინიერ რომელის-ესე ვიდრემდე ხმა-ყოფისა, რომლისათვის მრავალ-გზის მდუმარენი სრულითა სიტყვითა ვეზრახებით თავთა ჩუენთა და სიზმართა შინა ვზრახვიდით და უფროჲსად არს საცნაურებაჲ სიტყვიერებისა ჩვენისასა“.

აქ აშკარად ჩანს, რომ „სიტყვაში“ მოაზრებულია „ლოგოსური“ შინაარსი. ეს ჩანს იოანეს სახარების დამოწმებიდანაც (1,1: დასაწყისში იყო სიტყვა). მაგრამ საბასთან „სიტყვას“ სხვა მნიშვნელობაც აქვს. საბა წერს: „ლექსიკონი – ენათა თარგმანი, გინა სიტყვათა გამოთარგმანება“, ცხადია, აქ უკვე „სიტყვა“ იხმარება დღევანდელი მნიშვნელობით.

გამოდის, რომ თვით ჩვეულებრივი სიტყვაც ნაზიარებია ლოგოსთან და ამიტომ ლოგოსური ბუნებისაა. ე.ი. მასში სამყაროს საზრისის ასახვაა. ეროვნული ენა, რომელიც წარმოდგენილია „სიტყვის კონაში“, ლოგოსურ ერთეულთა მთლიანობაა. სიტყვა ლოგოსის სახეა, ისევე როგორც კაცი სახეა ღვთისა. ლოგოსს განასახოვნებს არა მთლიანად სიტყვა, არამედ მისი „სული“ (ე.ი. მისი შინაარსი. საბას განმარტებით სიტყვა „სულის“ მოძრაობაა“) ასევეა ადამიანიც. ღვთის ხატია სული ადამიანისა. ლოგოსი სამყაროს შინაარსია, იგი გამოხატავს სამყაროსთან ღვთის მიმართებას – ლოგოსი ქრისტე ღმერთია. ლოგოსი სამყაროს მთლიანობისგამომხატველია და კერძოდ, ეთიკური მთლიანობისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამოდის, რომ სამყაროს მთლიანობა (ლოგოსური მთლიანობა) სიტყვაში სახეობრივად ვლინდება (შესაბამისად, ასევე ვლინდება იგი მთელს ენაში). გამოდის, რომ სახეობრიობა ხილული სამყაროს (სიტყვაში გამჟღავნებადი სამყაროს) ყოვლადმთლიანობის საფუძველიცაა და უხილავისაც.

ბინარული სემანტიკა (მნიშვნელობის ირგვარობა) რომ სიტყვის სახეობრივად გამოყენების საშუალებას ქმნის, ამას გვიჩვენებს „დროს“ განმარტება: „დრო (29,21 დაბად.) ესე არს ჟამთა კეთილ-ავობისა სახელი, ვინათგან ვიტყვით: იმა მეფისა ჟამსა კეთილი დრო მაქვნდა და ან დრო არა მაქვს და ოდეს დრო შემოვიგდე, ესრე ვიქმ, განა დრო არს ანუ უდროო და ეგევითარნი“ (შემდეგში „დროის“ მნიშვნელობა გადაადგილდა და ადამიანური „ქრონოსის“ აღმნიშვნელი „ჟამი“ გახდა: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“ – ნ. ბარათაშვილი, „ნაპოლეონ“).

ლექსიკონის სხვა რედაქციაში ამ განმარტებას ერთვის: „ჟამი ნაწილი არის დღისანი, ხოლო დრონი უხნიერესნი ჟამთანი, რამეთუ ერთსა დროსა შინა მრავალი ჟამნი წარხდებიან“. ნიშანდობლივია საბას მიერ მაგალითების მოყვანა: ერთ შემთხვევაში დროს აქვს მსაზღვრელი, შემდეგ უმსაზღვრელოდ იხმარება, მაგრამ იგივეს (კეთილ დროს) გულისხმობს („კეთილი დრო მაქვნდა და აწ დრო არ მაქვს“). ამით „დროის“ სემანტიკური ველი ფართოვდება და მისი შინაარსის თავისუფალი წარმოდგენის საშუალება იქმნება. ჟამი დროში შედის, მაგრამ დროს მარადიულობის მნიშვნელობაც შეიძლება მიენიჭოს. მთავარია, რომ „დრო“ სიკეთესთან ზიარებას გულისხმობს, უდროობა სიკეთის მოკლებას. ამ უკანასკნელი თვალსაზრისით, დრო – სიკეთე შეიძლება კეთილ სივრცესაც გულისხმობდეს, რადგანაც დროზე წარმოდგენები ქართულში ხშირად უკავშირდება სივრცეს, რომლის ძალზე კარგი მაგალითია „წუთისოფელი“, სადაც მთლიანი ქრონოტოპული გააზრებაა ფიქსირებული (სხვა მაგალითებზე ქართულში დროის სივრცესთან ლინგვისტური მიმართულებისა იხ. ი. აბულაძე, დროის სემანტიკური ველის შესახებ – იბერიულკავკასიური ენათმეცნიერება, XXV, გვ. 3-11).

დროის საბასეულ გაგების ფილოსოფიური, სახისმეტყველებითი თუ ლინგვისტური ასპექტები საგანგებო ყურადღებას იმსახურებს და მათ განხილვას აქ არ შევუდგებით. წინასაწარი სახით აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საბას მიერ დრო-ჟამისადმი ეთიკური მიდგომა. დროის არსის განმსაზღვრელი ეთიკური თვალსაზრისი ხდება. საბასთვის უმაღლესი ადამიანური და ღვთაებრივი (უსასრულო) დრო ეთიკურია („ჟამთა კეთილ-ავობის სახელია“).

ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში ძალზე ხშირად ამა თუ იმ სიტყვის განსამარტავ ბუდეში მოცემულია საკმაოდ ზუსტი დეფინიცია, რომელთაც ერთვის იმავე სიტყვის სახეობრივი წარმოდგენები. ავტორი თითქოსდა უკმარისობას გრძნობს ლოგიკური დეფინიციით და მას სიტყვის შინაარსის სახეობრივ გააზრებას ურთავს. ამით მკითხველის წინაშე თვით ლექსიკონში ის წარმოდგება არა მხოლოდ როგორც ლექსიკოგრაფი, არამედ როგორც მწერალი, „სახისმეტყველი“. მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

„მაღალი ხე აღმართებით რომელი უგრძეა იგი არს მთა, ანუ ბორცვი, ხენი, ანუ ზღუდე და მისთანანი, მაღალი არს ცაჲ და სამყაროჲ; მაღლად ითქმის ჰაერთა შინა ფრინველი, გინა დიდნი მეფენი, ანუ ძლიერი ხმიანობაჲ“.

რევაზ სირაძე

დასასრული შემდეგ ნომერში

ინფორმაცია

* * *

ხაშურის რაიონის 4 სოფელს სკოლის ავტობუსი მოემსახურება. ხცისში, კრისხევში, მიწობსა და ოსიაურში მცხოვრები ბავშვები წლების განმავლობაში სოფელ ხცისის საჯარო სკოლაში ფეხით დადიოდნენ. თითოეულ მათგანს, ყოველდღიურად, სკოლაში მისასვლელად რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევდა. ახალი ავტობუსი მოსწავლეებს სკოლაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ შოთა ნიჟარაძემ მიუყვანა და ბავშვები სახლებში მიაცილა. ხცისის საჯარო სკოლაში სულ 100-მდე ბავშვი სწავლობს, რომელთა უმეტესობა სწორედ მეზობელი სოფლებიდან დადის.

* * *

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტის „ინკლუზიური განათლება“ ფარგლებში, აფხაზეთიდან დევნილი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები 26-მდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრირებულმა ჯგუფმა მოწამეთას სამონასტრო კომპლექსი მოინახულა.

დღის განმავლობაში მოზარდებს მოწამეთას სამონასტრო კომპლექსის დათვალიერების შესაძლებლობა მიეცათ, რის შემდეგაც სამინისტროს ახალგაზრდა ტრენერების დახმარებით ბავშვები ჩაერთნენ სხვადასხვა აქტივობებში, რომლებიც მოზარდების გონებრივ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას ემსახურება.

პროექტის მიზანია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, მათი შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, ჯანმრთელობისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროექტში მონაწილე ყველა ბავშვი უზრუნველყოფილი იყო კვებით. ღონისძიების დასასრულს ყველა მოზარდს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა.

* * *

კინოთეატრმა „რუსთაველმა“ აფხაზეთიდან დევნილ მოსწავლე ახალგაზრდებს უმასპინძლა ანიმაციურ ფილმზე „მამაცი გული“. სეანსს აფხაზეთიდან დევნილი 50 მოზარდი დაესწრო. სამგანზომილებიანი ანიმაციური ფილმი უახლესი ტექნოლოგიური ხერხებითაა გადაღებული.

კინოთეატრ „რუსთაველის“ მხარდაჭერით, წლის განმავლობაში, აფხაზეთიდან დევნილი 1000-მდე მოზარდი არაერთ პოპულარულ კინოჩვენებას დაესწრო. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო მადლობას უხდის კინოთეატრის ხელმძღვანელობას აფხაზეთის ახალგაზრდობის ინტეგრაციაში შეტანილი წვლილისათვის.

მელნისფრად „აყირავებული“ სამყარო

ლალი ჯელაძე

ის ჯერ ძალიან პატარაა, სიარული და ლაპარაკი არ იცის, პამპერსს ხმარობს და ეზოს და სამყაროს საბავშვო ეტლიდან ან მშობლის ხელებიდან აკვირდება, თუმცა მობილური ტელეფონის დანახვისას იღიმება, იღებს მას და ღილაკებს საქმიანი სახით აჭერს თითს.

ან კიდევ, მოზარდი მათემატიკაში დაბალ ნიშნებს იღებს, სახლში კი კომპიუტერთან ურთიერთობისას ამჩნევთ, რომ რთულ ინტეგრალურ ფორმულას წერს. გაუგებარია, რატომ აქვს დაბალი ნიშანი მარტივ ალგებრაში, როცა თურმე დიდ მათემატიკაშიც ერკვევა...

მშობლებო, გეცნოთ? ეს ახალი ცნობიერების თაობაა – „მელნისფერი თაობა“.

მოდით ყველაფერი 1980 წლიდან დავიწყოთ. უცნაური ბავშვების დაბადება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ეს პატარები ავლენდნენ თვისებებს, რომლებიც მშობლების გაოცებასა და შიშს იწვევდა და შვილები ფსიქოთერაპევტებისა თუ ფსიქიატრების კაბინეტებში მიჰყავდათ.

1982 წელს ასეთი აუხსნელი უნარებით აღჭურვილი ბავშვების დასახასიათებლად მეცნიერებმა პირველად გამოიყენეს ტერმინი „ახალი ცნობიერების თაობა“. იმავე წელს, ფსიქოლოგმა და ექსტრასენსმა ნენსი ენ ტეპსმა ასეთ ბავშვებს „თაობა ინდიგო“ (ინდიგო მელნისფერს ნიშნავს და ამ ფსიქოთერაპევტის მტკიცებით, უცნაურ პატარებს მელნისფერი აურა აქვთ, ჩვეულებრივი ნარინჯისფერის ნაცვლად) უწოდა. თუმცა, ტერმინი 1999 წელს ლი კეროლის წიგნის – The Indigo Children: The New Kids Have Arrived გამოსვლის შემდგომ გავრცელდა.

და რა იყო ის, რაც ასე აშინებდა და აკვირვებდა მშობლებს? ბავშვების მიერ, დაბადებიდან, სამყაროს აღქმის და შეცნობის თავისებური ხერხი და იმ დროისთვის სრულიად ახალი ციფრული ტექნოლოგიების ფლობის თანდაყოლილი უნარი, რასაც ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნეს. ლაპარაკის თუ სიარულის სწავლა უფროს თაობაში გენეტიკურადაა კოდირებული. ამ ინფორმაციას ფლობს ადამიანის დნმ და საჭირო დროს შესაბამის ბრძანებას გასცემს. ხოლო ის ინფორმაცია, რომელიც სრულიად ახალია კაცობრიობისთვის, ვერასგზით ვერ დაილექება ქრომოსომაში და, შესაბამისად ყველაფერ ახალს ადამიანი ცხოვრების გზაზე შეისწავლის. ზუსტად ეს, ერთი შეხედვით ურყევი ჭეშმარიტება, „ააყირავეს“ „მელნისფერებმა“. მეცნიერებს დღემდე ვერ გაუციათ პასუხი კითხვაზე, საიდან უნდა სცოდნოდა ერთი წლის ბავშვს რამდენიმე თვის წინ შექმნილი და საცალო გაყიდვაში შემოსული მობილური აპარატის სწორი ხმარება, როდესაც მისი მშობლები ინსტრუქციაში ჯეროვნად ვერ გარკვეულან?!

ფაქტი ჯიუტია: იციან. და იციან არა მხოლოდ ეს. ასეთ ბავშვებს რამდენიმე მახასიათებელი აქვთ: ძლიერად განვითარებული ინტელექტი, და პასუხისმგებლობის გრძნობა; ციფრული ტექნოლოგიების ფლობის თანდაყოლილი უნარი; სურვილი გაუზიარონ ცოდნა სხვებს, თუმცა არ უზიარებენ მათ, ვისაც არ შეუძლია მათი გაგება. რთული სიტუაციებიდან მუდამ პოულობენ გამოსავალს, არ „ტყდებიან“ და საკუთარი სურვილების რეალიზაციის გზაზე ნებასა თუ სიჯიუტეს ავლენენ. ხშირად ეს სიჯიუტე მშობლების გულისწყრომასა და ფსიქიატრების კაბინეტში ვიზიტებს იწვევს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთმა ბავშვებმა მშობლებზე უკეთ იციან, რა არის მათთვის უკეთესი.

ისინი სამყაროს მთლიანობაში აღიქვამენ და გულწრფელნი და თავისუფლებისმოყვარულნი არიან; ფლობენ ენერგიას, მაგრამ ხშირად არ იციან, საით წარმართონ და სწორედ აქ სჭირდებათ მშობლების დახმარება, განვითარებული აქვთ ინტუიცია, მგრძნობელობა და საკუთარ ცხოვრებისეულ სივრცეში იკეტებიან.

თავად „მელნისფერებს“ მეცნიერები რამდენიმე კატეგორიად ყოფენ:

ჰუმანისტები. ისინი მომავალი იურისტები, ექიმები და პოლიტიკოსები არიან. მათ შეუძლიათ ხალხთან მუშაობა და ადამიანებზე ზემოქმედების ნიჭი აქვთ. გამოირჩევიან ჰიპერაქტიულობით. არ აინტერესებთ ყოფითობა, ასეთ ბავშვს ვერ აიძულებთ, დაალაგოს თავისი ოთახი. კი, ის დაიწყებს დავალების შესრულებას, თუმცა მალე კომპიუტერთან თავდავიწყებულს იხილავთ.

კონცეპტუალისტები. ისინი თავის თავში ჩაკეტილობით გამოირჩევიან. მომავალში კარგი არქიტექტორები, დიზაინერები, მშენებლები და გამომგონებლები გამოდიან. სათანადო აღზრდისა და განათლების მიუღებლობის შემთხვევაში, საკუთარ თავში იკეტებიან.

მხატვრები. ახასიათებთ შემოქმედებითი უნარი, ძირითადად მისდევენ ხელოვნებას, აქვთ სხვანაირი აღქმის უნარი. მათი ნახატები გამოირჩევა სიურეალისტური და აბსტრაქციონისტული სტილით. დაბოლოს, ე.წ. ყველა განზომილებაში მცხოვრებნი, ანუ ისინი, ვინც უკვე 2-3 წლის ასაკში ფლობს იმ უნარებს, რომელსაც ადამიანი ცხოვრების მაძილზე იძენს.

დასავლეთში ეს მოვლენა უკვე ფაქტად აღიარეს და სასწავლო პროგრამების შეცვლა თუ კორექცია დაიწყეს. ახალი სასკოლო განათლების მოდელი ასეთი ბავშვების განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ქცევითი მახასიათებლების მოთხოვნებს მთლიანად უნდა აკმაყოფილებდეს. ეს გულისხმობს, რომ მასწავლებლებმა თუ მშობლებმა, რომლებიც ურთიერთობენ „მელნისფერებთან“, წარმატების მისაღწევად სტანდარტულ მიდგომებსა თუ მეთოდებზე თქვან უარი. ბავშვების ქცევის ახალი მოდელის უგულებელყოფას ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმა მოჰყვება და არაეფექტურია.

ინდიგო ბავშვები

ზოგიერთი სპეციალისტი „ინდიგო ბავშვებს“ განსაკუთრებული თვისებებით ახასიათებს: ინტელექტის მაღალი დონე, უჩვეულო მგრძნობიარობა, ტელეპათიის უნარი და ა.შ. მკვლევართა ნაწილი იმასაც აცხადებს, რომ ისინი „ადამიანთა ახალ რასას“ წარმოადგენენ. ამ ფენომენს რამდენიმე კინოფილმი და წიგნების საკმაო რაოდენობაც მიეძღვნა. მათი ავტორების მოსაზრებები და თვით ამ პრობლემის ხედვაც საკმაოდ განსხვავებულია.

ტერმინი „ინდიგო ბავშვები“ 1982 წელს თავის წიგნში – Understanding Your Life Through Color ამერიკელმა ექსტრასენსმა ნენსი ენ ტეპმა შემოიღო. შემდგომ სხვა ექსტრასენსებიც ამტკიცებდნენ, რომ ამ კატეგორიის ბავშვებს ინდიგოსფერი (მუქი იისფერი) აურა აქვთ და ამის გამო მათ „ინდიგო ბავშვები“ უწოდეს, ხოლო ნენსი ენ ტეპს მიაჩნია, რომ თანამედროვე სამყაროში 10 წლამდე ასაკის ბავშვების 70 % და 15-დან 25 წლამდე ასაკის 40 % – ინდიგოს კატეგორიას წარმოადგენენ.

ტერმინი „ინდიგო ბავშვები“ 1999 წლიდან უფრო მეტად დამკვიდრდა ცნობილი ამერიკელი მწერლის ლი კეროლის და მისი მეუღლის ჯეინ ტოუბერის წიგნის – The Indigo Children: The New Kids Have Arrived წარმატების შედეგად და იმ წყაროების დამსახურებით, რომლებიც მოძრაობა New Age-თან იყო დაკავშირებული. იმის მიუხედავად, რომ ამ მოვლენამ საკმაო ინტერესი გამოიწვია, დღემდე არ ჩამოყალიბდა მკაფიო, ერთმნიშვნელოვანი კრიტერიუმები, რომლების მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა ამ კატეგორიის ბავშვების სხვებისგან განსხვავება. თვისებები და მახასიათებლები, რომლებსაც იყენებენ ავტორები, ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაძლებელია მხოლოდ იმ სახის კრიტერიუმების გამოყოფა, რომლებიც ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდეს.

ინდიგო – საზრიანი, განვითარებული ბავშვია, რომელსაც არ სურს დაემორჩილოს ქცევის ჩვეულ სტერეოტიპებს. ის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული და ჩვენი პლანეტისთვის განსხვავებული პროგრამის მქონე არსებაა. ამის შესახებ თავადაც იცის. ადრეული ასაკიდანვე ისინი არწმუნებენ გარშემო მყოფ ადამიანებს, რომ ამ სამყაროში მათ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მისია აკისრიათ. ეს გოგო-ბიჭები პრაქტიკულად დარწმუნებულნი არიან საკუთარ უმაღლეს დანიშნულებაში და ხშირად გადამეტებულადაც ავლენენ განდიდების მანიას.

ლი კეროლმა თავის წიგნში დაწვრილებით აღწერა „ინდიგოს ბავშვების“ სხვადასხვა ტიპი და თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული პროგრამები.

პირველი ტიპი ჰუმანისტია – მომავალი ექიმი, იურისტი, მასწავლებელი, მეზღვაური, ბიზნესმენი, პოლიტიკოსი ან მეცნიერი. შესაძლოა, რომ მომავალი „ინდიგო“ მეცნიერი აღმოაჩენს მარადიული სიცოცხლის საიდუმლოს ან კაცობრიობას ახალ არმაგედონამდე მიიყვანს...

ისინი ჰიპერაქტიურები, კომუნიკაბელურები არიან, ნებისმიერთან შეუძლიათ ხანგრძლივ, მეგობრულ მანერაში საუბარი. ხშირ შემთხვევაში, ფიზიკურ მოუქნელობას ავლენენ, ჰიპერაქტიურობის გამო შეუძლიათ „არ შეანელონ სვლა“ და „შეეჯახონ კედელს“. ასეთი ბავშვებისთვის მიუღებელია ერთი სათამაშოთი გართობა და თამაში. მაგალითად, შეუძლიათ ყუთიდან გადმოყარონ ყველაფერი და ითამაშონ, ან საერთოდ არც მიეკარონ არც ერთ საგანს. თუ დაავალებთ საკუთარი ოთახის დალაგებას, შეხსენება მრავალჯერ მოგიწევთ, ვინაიდან ასეთი ბავშვები ძალიან დაბნეულები არიან.

მეორე ტიპი, რომელიც უფრო მეტად არის გავრცელებული – კონცეპტუალისტია. ისინი მომავალი ინჟინრები, არქიტექტორები, დიზაინერები, ასტრონავტები, სამხედროები, მფრინავები და მოგზაურები არიან, რომელთათვის ატლანტიდის აღმოჩენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ამ ტიპის ადამიანებს, სხვა ტიპებთან შედარებით, უფრო მეტად ახასიათებთ საკუთარ „პროექტებში“ ჩაღრმავება. ხშირად მოუქნელები, მაგრამ კარგი აღნაგობის არიან. ყოველთვის სურთ მართონ სხვა ადამიანი, ბავშვობაში მათი მართვის ობიექტს ბიჭებისთვის – საკუთარი დედა, ხოლო გოგონებისთვის – მამა წარმოადგენს. მშობლის დაკარგვა ცხოვრებაში მათ უდიდეს პრობლემებს უქმნით. ამ ტიპს მიდრეკილება აქვს დიდად საზიანო ჩვევებისკენ, მაგალითად, ნარკოტიკებისკენ მოზარდობის ასაკში. მშობლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ მათ ქცევაზე. როდესაც ისინი დაიწყებენ რაღაცა საგნების დამალვას ან გაგაფრთხილებენ, რომ არ შეხვიდეთ მათ ოთახში, ურიგო არ იქნება გაარკვიოთ, რას გიმალავენ.

მესამე ტიპის ბავშვები – „შემოქმედებითი პიროვნებები, მხატვრები“, ჯერ კიდევ უფრო იშვიათად გვხვდებიან: გლობალური მოდერნიზაციის თანამედროვე პირობებში მათ უძნელდებათ თავის გადარჩენა. „ინდიგო მხატვრებისთვის“ უმჯობესი იქნებოდა საკუთარი შედევრები შუა საუკუნეებში შეექმნათ. ეს ბავშვები, ინდიგოს სხვა კატეგორიებთან შედარებით, უფრო მგრძნობიარეები არიან. უმეტესად მათ მსუბუქი აღნაგობა აქვთ. ადამიანის საქმიანობის რომელ სფეროსაც უნდა მიმართონ, ყოველთვის ინარჩუნებენ შემოქმედებით მიდგომას. თუ ამ ტიპის ბავშვი მედიცინას აირჩევს – კარგი ქირურგი გამოვა, ხელოვნებაში – გამოჩენილი მსახიობი. 4-10 წლის ასაკში მას შეუძლია საკუთარი ძალები შემოქმედებითი სფეროს რამდენიმე ათეულ სფეროში მოსინჯოს, ერთდროულად რამდენიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე ისწავლოს დაკვრა, მაგრამ მოზარდობის პერიოდში აირჩევს ერთ-ერთს და დიდი ხელოვანიც გახდება.

მომავლის ***მეოთხე ტიპს*** ის ბავშვები წარმოადგენენ, რომლებიც „ყველა განზომილებაში ცხოვრობენ“. იმის გამო, რომ სხვა ტიპებთან შედარებით მათ უფრო დიდი ტანი აქვთ და ვერ ახერხებენ გარშემო სივრცეში მორგებას, შარიანები და ჩხუბისთავებიც შეიძლება იყვნენ. ამ ბავშვებმა ყველაფერი და ყველაფრის შესახებ იციან. მცირე

ასაკიდან ისინი ჭკუას ასწავლიან საკუთარ მშობლებს და ყველაფრის კეთებას დამოუკიდებლად ცდილობენ. ამ ყველაფრის მცოდნე ბავშვებისგან გამოჩენილი პიროვნებები იზრდებიან. ეს ის ადამიანებია, რომლებსაც ჩვენს სამყაროში ახალი ფილოსოფიის ან რელიგიური მიმართულების შემოტანა შეუძლიათ. ზოგიერთი ავტორის აზრით, დღეს იესო ქრისტე ინდიგო ადამიანთა გზას გაივლიდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინიც იესოს გზას გაივლიან.

სამყაროც ფერს იცვლის ნელ-ნელა: ინდიგო – ჰუმანისტები მოდიან „ყვითლების“ სანაცვლოდ; კონცეპტუალისტები – „მოოქროსფერო“ და „მწვანეების“ ნაცვლად; „ინდიგო მხატვრები“ იწყებენ „ლურჯების“ შეცვლას; „ყველა განზომილებაში მოარსებე“ ინდიგო – მოდიან უკვე „იისფერების“ შესაცვლელად, ანუ ახლო მომავალში, ინდიგოს ფერი ყველა დონეზე იქნება, მაგრამ ინდიგო ბავშვებისთვის თანამედროვე პირობებში ცხოვრება საკმაოდ რთულია.

განსაკუთრებულ და განსხვავებულ ნიჭთან ერთად ბუნებამ ისინი ზოგიერთი ნაკლოვანებითაც „დაჯილდოვა“. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში ამ ტიპის ბავშვებს არამდგრადი ფსიქიკა აქვთ. გარკვეულ მომენტში შეიძლება მხიარულობდნენ და მოძრავები იყვნენ, მაგრამ იმავე წუთს დაეუფლოთ აპათია, უხასიათოდ დასხდნენ კუთხეში და ჩაუღრმავდნენ საკუთარ აზრებს.

აღზრდის არსებული სისტემა, უმეტესად, იმდენად მიუღებელია ამ ბავშვებისთვის, რომ არასწორი დამოკიდებულების შედეგად შეიძლება მკვლელ ბავშვებად ვაქციოთ. ინდიგო გრძნობს, რომ განსაკუთრებული მისია აკისრია და, როდესაც წინააღმდეგობა ხვდება ან მის ბლოკირებას ახდენენ, სხვა არაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ ჩამოიშოროს ის, რაც მისი აზრით, ხელს უშლის. უზენაესი მიზნის მისაღწევად ინდიგოს ვერაფერი დააბრკოლებს. შიში მათ არ აქვთ, არ ცნობენ ავტორიტეტებს, არ ჰყავთ და არც იქმნიან კერპებს. მხოლოდ საკუთარი თავის და ძალების რწმენა აქვთ.

ზოგიერთი სპეციალისტი „ინდიგო ბავშვების“ ფენომენს იმით ხსნის, რომ მათ ძალიან დიდი შინაგანი ენერგია აქვთ და უცნობია, სად და რას უნდა მოერგოს ის სრულად: ყველა იმ იდეის რეალიზაცია, მათ თავში რომ ტრიალებს, უბრალოდ შეუძლებელია. ალბათ, ისინი მაინც მომავლის ბავშვები არიან.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ამ ფენომენის დიდი პოპულარობის მიუხედავად, ამის შესახებ ჯერ არავის წარმოუდგენია სერიოზული მეცნიერული დასაბუთება. სკეპტიკურად განწყობილი პედაგოგები და ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ „ინდიგო ბავშვების“ მოვლენის აღწერა უფრო მისტიფიკაციის ხასიათს ატარებს, თუმცა ფსიქოლოგებისთვის და ფსიქიატრებისთვის დიდი ხანია ცნობილია მსგავსი ბავშვების მახასიათებელი ნიშნებისა და თვისებების უმეტესი ნაწილი, რომელთა ახსნა შესაბამისი დიაგნოზითაა (ADHD სინდრომი – ყურადღების დეფიციტის სინდრომი და ჰიპერაქტიურობა) შესაძლებელი. ცალსახად, რა თქმა უნდა, ვერც ერთ და ვერც მეორე პოზიციასა და ამ მოვლენისადმი დამოკიდებულებას ვერ გავიზიარებთ. ფართო საზოგადოების ინტერესი ამ ფენომენის მიმართ პერიოდულად იზრდება, ხოლო დროთა განმავლობაში, თითქმის სრულიად (პედაგოგების და ფსიქოლოგების გარდა) ქრება. თვით ეს ფენომენი კი, ობიექტურად არსებობს და სერიოზულ ყურადღებას ითხოვს. ამ მახასიათებლების მქონე ბავშვების რიცხვი კი იზრდება, რასაც აბსოლუტურად ვერავინ უარყოფს...

ინდიგოს ბავშვების გარკვეული თავისებურებანი

♦ ისინი ამ სამყაროში მოდიან, ასე ვთქვათ, ჩამოყალიბებული შეგრძნებებით (ხშირად თავს ასევე ავლენენ), ანუ მათ კარგად იციან, რა უნდათ.

♦ კარგად აცნობიერებენ საკუთარ მიზნებს, მისწრაფებებს და მათში ეჭვი თითქმის არასდროს არ შეაქვთ.

♦ არ თვლიან საჭიროდ, რომ ახსნან საკუთარი ქცევა და მხოლოდ არჩევანის თავისუფლების სჯერათ.

♦ საერთოდ არ აკეთებენ ზოგიერთ რამეს, მაგალითად, მათთვის აუტანელია რიგში დგომა, ლოდინი.

♦ იბნევიან კონსერვატიულ სისტემებთან ურთიერთობებისას, სადაც შემოქმედებით აზროვნებას ადგილი არ აქვს და უნდა იმოქმედო ადრე შემუშავებული მეთოდებით.

♦ რაიმე საქმის კეთებისას საკუთარ თავს ეყრდნობიან და იმპროვიზაციასაც მიმართავენ, თუმცა ამას მშობლები ან პედაგობები წესის დარღვევად აღიქვამენ.

♦ თუ მათ გვერდით არ არის მსგავსი მენტალიტეტის მქონე, ისინი საკუთარ თავში იკეტებიან და უჩნდებათ შეგრძნება, რომ მათი არავის ესმის.

♦ ვერანაირად ვერ აღიქვამენ საყვედურებს დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით (ყურს არ უგდებენ მსგავს განცხადებებს – „მოვა მამაშენი და ნახავ, რასაც გიზამს“).

♦ როცა რამე უჭირთ, საკუთარ მოთხოვნილებებზე მორიდების გარეშე საუბრობენ.

♦ გამძაფრებული აქვთ სამართლიანობის შეგრძნება.

♦ საკმაოდ მიხვედრილები არიან, ადვილად და სწრაფად ერკვევიან ტექნოლოგიებში და ადვილად ითვისებენ სხვადასხვა სახის ტექნიკას – მობილური ტელეფონი, კომპიუტერი და სხვ.

ინდიგო ბავშვები და კომპიუტერი

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, ტელევიზიით, რამდენიმეჯერ გადაიცა სიუჟეტი – პატარა ბავშვები, რომლებმაც ხშირად გამართულად სიარული და საუბარიც კი არ იციან, უპრობლემოდ ახერხებენ კომპიუტერის ჩართვას, საჭირო პროგრამის გამოძახებასა და მართვას. ეს ყველაფერი სწორედ „ინდიგო ბავშვებისთვისაა“ დამახასიათებელი.

კომპიუტერული თამაშებისადმი უზომო მიდრეკილება, სხვათა შორის ერთ-ერთი შტრიხია, რომელიც ახასიათებთ „ინდიგო ბავშვებს“. ქვემოთ ვისაუბრებ მეცნიერების მიერ შეთავაზებულ პრაქტიკულ რჩევებზე „ინდიგო ბავშვებთან“ ურთიერთობაში მყოფი მშობლებისა და პედაგოგებისადმი, თუმცა ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს – იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი ბავშვები ვერ იტანენ სიცარიელეს და, ასე ვთქვათ, უძრაობას, ცდილობენ ვირტუალურ სამყაროში მოძებნონ დინამიკა, მოვლენების სწრაფი ცვალებადობა და, რაც მთავარია, ჰქონდეთ ტექნიკასთან ურთიერთობა, რაც ასე მნიშვნელოვანია „ინდიგო ბავშვებისთვის“.

მშობლებმა მოზარდს კი არ უნდა აუკრძალონ კომპიუტერთან სიახლოვე, არამედ ამას პრაქტიკული ფორმები უნდა მისცენ. ამ დროს ბავშვს უნდა ჰქონდეს ნაკლები თავისუფალი დრო, უნდა მოიძებნოს მისი ინტერესების სფერო, დავუშვათ ეს უცხო ენის სწავლა იყოს. რეკომენდებულია, უცხო ენა შეისწავლოს კომპიუტერის დახმარებით ან კომპიუტერი დამხმარე საშუალება გახდეს მის საქმიანობაში. თუნდაც, ისწავლოს რთული კომპიუტერული პროგრამები და ა.შ.

ინდიგო ბავშვების აღზრდა და პედაგოგიური მიდგომა

მეცნიერი რობერტ ო'კერი ვისკონსინის უნივერსიტეტიდან თავის შრომებში, რომლებიც სწორედ „ინდიგო ბავშვებს“ ეხება, აღნიშნავს, რომ აღმზრდელები (მშობლები, პედაგოგები) უნდა გახდნენ ნოვატორები აღმზრდელობითი მეთოდების განვითარებაში და მათი მიდგომები ასეთი ბავშვების მიმართ უფრო მოქნილი უნდა გახდეს – ეს განსაკუთრებით ახსნისა და ინფორმაციის გადაცემის მეთოდებს ეხება. სხვათა შორის, „ინდიგო ბავშვების“ კვლევის შესახებ არც თუ იშვიათად ტარდება კონფერენციები, მაგალითად, 2000 წელს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც ასე ეწოდებოდა – „ახალი ეპოქა – ახალი ადამიანი“ – საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გერმანიამ, იტალიამ, ესპანეთმა, ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნებმა და ბევრმა სხვა ქვეყანამ, ანუ მსოფლიოში აქტიურად მიდის სამეცნიერო მუშაობა ამ საკითხის შესწავლისა და განვითარებისთვის. ამერიკის შეერთებული შტატების საბავშვო ბაღებში, კოლეჯებში, საშუალო სკოლებში უდიდესი ყურადღება ექცევა ასეთ ბავშვებთან ურთიერთობებს. მსგავს თემებზე ძალიან ხშირად ეწყობა ტრენინგები, რომლებშიც მონაწილეობენ პედაგოგები, ფსიქოლოგები, ექიმები. გარდა ამისა, ამერიკაში შემუშავებულია სამედიცინო პროგრამა, რომლის მიხედვით, მიდის აქტიური მუშაობა ბავშვებში ზემოთ ნახსენები სინდრომის აღმოსაფხვრელად. სინდრომი (ეი-დი-ეიჩ-დი), როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, უპირველესად, უყურადღებობასთან, ყურადღების დეფიციტთანაა კავშირში. მაგალითად, 1996 წელს, ამერიკაში, ჯონ ჰოპკინსის სამედიცინო ინსტიტუტში მიღებული დასკვნით, 1990-95 წლებში, დაფიქსირდა ამ სინდრომის ორჯერ ზრდა, რამაც აიძულა ამერიკელი მეცნიერები სასწრაფოდ შეემუშავებინათ ახალი სამედიცინო პროგრამა, რომლის მიხედვით ამ სინდრომის აღმოფხვრა, სხვა მეთოდებთან ერთად, ფსიქოტროპული საშუალებებითაც ხდება. თუმცა ყველაფერი ასე იოლად არ არის მეცნიერთა ჯგუფი იელის უნივერსიტეტიდან ამტკიცებს, რომ ამ ბავშვებში ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენებას აზრი არ აქვს, ეს სასურველ ეფექტს ვერ იძლევა. მათი აზრით, ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენებით შესაძლოა, ბავშვები შედარებით დამჯერები და დამყოლები გახდნენ, მაგრამ ზემოთ ნახსენები სინდრომი არ იკურნება. ამასთან, ეს სინდრომი და საერთოდ ამ ბავშვების ქცევა არის არა ნორმიდან გადახრა, არამედ, მათი სიტყვებით, „ახალი ადამიანის ტიპის დაბადების ნიშანი“. ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენება დაამუხრუჭებს ამ ბავშვების და, აქედან გამომდინარე, კაცობრიობის განვითარებას. აი, ამას ამტკიცებს ამერიკელი მეცნიერების ნაწილი. სხვათა შორის, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „ინდიგო ბავშვების“ დნმ შეცვლილია. ორგანიზმის ტალღოვანი გამოსხივება ამ ბავშვებში ნორმას ზოგჯერ 10-ჯერ აღემატება, ანუ „ინდიგო ბავშვების“ განსხვავებულობა ფიზიკურ დონეზე იგრძნობა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მშობლები და პედაგოგები მზად აღმოჩნდნენ ამ ბავშვებთან ურთიერთობისთვის, სწორად შეაფასონ მათი ნიჭიერება და მათი პრინციპულობა თუ სიჯიუტე. მათთან ურთიერთობისას შეცდომები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, რადგან „ინდიგო ბავშვები“, თანატოლებისგან განსხვავებით, რამდენადაც ადვილად უმკლავდებიან მათ გარშემო არსებულ პრობლემებს, იმდენად ცდილობენ მათ გარშემო არსებული სამყარო საკუთარი სურვილის მიხედვით გარდაქმნან, ანუ იბადება კონფლიქტი მშობლებს (ასევე პედაგოგებსა) და ინდიგო ბავშვებს შორის. მშობლებმა ეს ყველაფერი უნდა გააცნობიერონ, არ არის არგუმენტი მშობლის მიერ მაგალითად საკუთარი ბავშვობის მოყვანა: „მე ბავშვობაში ასეთი არ ვყოფილვარ“, „მე ბავშვობაში ასე არ ვიქცეოდი“ და ა.შ.

♦ მოეპყარით პატივისცემით, თუმცა ეს არ უნდა იყოს გათამამების მომენტი.

♦ დაეხმარეთ, რომ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღოს.

♦ არჩევანის გაკეთებისას არ იგრძნოს თავი შეზღუდულად.

♦ ყოველთვის დაუტოვეთ არჩევანის თავისუფლება, რასაც არ უნდა ეხებოდეს ეს.

♦ არასდროს არ დაამციროთ.

♦ ყოველთვის აუხსენით, თუ რატომ უნდა გააკეთოს ეს და არა ის, ანუ ნუ მოითხოვთ მისგან ბრმა მორჩილებას.

♦ ნუ იქნებით მასთან დიქტატორი, შესაძლოა, პირველად სასურველი შედეგი მიიღოთ, თუმცა მომავალში ეს გაორმაგებულ პრობლემებს მოგიტანთ.

♦ ნუ აგაღელვებთ მისი უყურადღებობა, ეს „ინდიგო ბავშვისთვის“ ჩვეულებრივი რამ არის.

♦ თუ გსურთ რაიმე გააკეთებინოთ, დაანახეთ ამ საქმის შემეცნებითი მხარე.

♦ გაითვალისწინეთ, რომ ეს ბავშვი არა მხოლოდ თქვენი შვილია, არამედ თქვენი პარტნიორიც, მეგობარიც. მასში, ბავშვთან ერთად, ასე ვთქვათ, დიდი ადამიანიც „ზის“.

♦ ნუ დატოვებთ მის შეკითხვებს პასუხის გარეშე, მის ინტერესს იგნორირება არ გაუკეთოთ.

* * *

ბავშვთა ფსიქოლოგთან მისული მშობელი შვილის დაბალი ნიშნებით იყო შეწუხებული. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მისი 7 წლის ბიჭუნა დაბადების დღისთვის საჩუქრად კომპიუტერულ თამაშს ითხოვდა. ეს ბავშვის ვირტუალურ სამყაროში დაკარგვას გამოიწვევდა და რადგან ბიჭუნამ ზუსტად იცოდა, რომ სკოლაში დაბალი მოსწრების გამო მშობლები თხოვნას არ აუსრულებდნენ, ბებიის დაყოლიებას ცდილობდა და მიზანსაც მიაღწია. შედეგმაც არ დააყოვნა – ისედაც დაბალი ნიშნები კრიტიკულ ზღვრამდე დადაბლდა. არ ჭრიდა არც ჩხუბი, არც მოფერება. ფსიქოლოგმა დედას ერთი რჩევა მისცა: კომპიუტერთან სათამაშო დრო შვილისთვის მიეყიდა, ანუ დავალების შესრულება უდრიდა თამაშის ერთ საათს, კარგი ნიშანი – ორს და ა.შ. სამაგიეროდ, ბიჭუნას ასცდებოდა ლექციები, დატუქსვა. ბავშვი ახალ წესებს დათანხმდა და შედეგიც მოულოდნელად კარგი აღმოჩნდა მისთვის, ჩვენი „მელენისფერი“ არა მარტო კარგად სწავლობდა და დავალებს ასრულებდა, არამედ დედას სახლის საქმეშიც ეხმარებოდა, მაგალითად: პურის ამოტანა თამაშის 10 წუთს უდრიდა, ოთახის დალაგება – 30 წუთს და ა.შ.

ამ ექსპერიმენტის დაწყებამდე ბიჭს IQ ინტელექტისა და უნარჩვევების ტესტი ჩაუტარეს, რათა გაეგოთ დაბალი ნიშნები სიზარმაცის და უინტერესობის ბრალი იყო თუ ზოგადად უუნარობის. ბიჭუნამ 120 ქულა დააგროვა, რაც არა თუ უმაღლესი, არამედ არარეალურად მაღალი იყო, რადგან ზრდასრული ადამიანისთვის მაქსიმალურად 100-110 ქულა ითვლება!!!

იმედია, უფროსი თაობა, რომელიც ამ წერილს წაიკითხავს, ცოტათი მაინც შეცვლის დამოკიდებულებას, ინდიგოსათვის ხომ კატეგორიულად მიუღებელია ის, რაც უფროსებისთვის ჩვეულია; ან უბრალოდ, ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ მშობლებს აღარ გაუკვირდებათ, თუნდაც როცა შვილს ღამით ხატვით დაკავებულს ნახავენ – ამისთვის, მისივე თქმით, უბრალოდ, დღისით დროს ვერ პოულობს, ღამით კი ეღვიძება და ხატავს, სწორედ ამიტომაა ბალიშის ქვეშ უამრავი ფურცელი და ფანქარი, ზეწარი კი საღებავებითაა დასვრილი... ისინი ხომ „მელენისფერი“ ბავშვები არიან – უცნაური თაობის უცნაურად ჭკვიანი უცნაური ბავშვები.



ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲗᲐ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ

რა შემთხვევაში შეევსება საჯარო სკოლის პედაგოგს ხელფასი 1000 ლარამდე და როგორ განისაზღვრება საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებელთა გამოვლენის წესი?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში ამა წლის 26 ივლისს შეტანილი ცვლილების თანახმად, პედაგოგს, რომელსაც ეძლევა სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი (75 ლარი), აქვს მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარების და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დადგენილი წესით განეკუთვნება საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებელს, ხელფასი უნდა შეევსოს 1000 ლარამდე, ინსტრუქციით გათვალისწინებული ხელფასისა და ხელფასზე დანამატის გათვალისწინებით. ახალი ცვლილების თანახმად, საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებელთა გამოვლენის წესი განისაზღვრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 4 ივნისის №14-15 ბრძანების საფუძველზე, საუკეთესო შედეგის მქონე მასწავლებლის სერტიფიკატი გადაეცა:

ა) მასწავლებელს, რომელმაც მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სასერტიფიკაციო გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური 28 ქულა;

ბ) მასწავლებელს, რომელმაც მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სასერტიფიკაციო გამოცდაზე მიიღო 27 ქულა, მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილში 47 და მეტი ქულა და მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივ ნაწილში 75% და მეტი ქულა;

გ) მასწავლებელს, რომელიც განეკუთვნება მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდისა და მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის გამოცდების, თითოეულ საგანში, საუკეთესო შედეგების მქონე 25%-ს.

***26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ №576 ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 19 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲘ (75 ᲚᲐᲠᲘ), ᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲐᲖᲝ ᲙᲝᲛ�პᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲘᲞ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲒᲐᲜᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ, ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲕᲡᲝᲗ 1000 ᲚᲐᲠᲐᲛᲓᲔ, ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲑᲣᲚᲘᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲖᲔ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲑᲘᲗ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ წᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ.

რა ცვლილებები განიცადა საჯარო სკოლებში მასწავლებელთა სრულზე მეტმა სამუშაო დატვირთვამ და მისი ანაზღაურების წესმა?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში ამა წლის 19 სექტემბერს შეტანილი ცვლილების თანახმად, სრულზე მეტი დატვირთვა აქვს მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს 40 სამუშაო საათს და მათ შორის ატარებს კვირაში 19 ან მეტ საგაკვეთილო საათს. 19 საგაკვეთილო საათის ჩატარებისას მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 5 ლარის ოდენობით, 20 საგაკვეთილო საათის ჩატარებისას მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 10 ლარის ოდენობით, 20-ზე მეტი ნებისმიერი საგაკვეთილო საათის ჩატარებისას კი მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 25 ლარის ოდენობით.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ 19 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔᲝᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲖᲔ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲡ. ᲡᲠᲣᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲐᲗᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲫᲘᲜᲔ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ ᲡᲐᲐᲗᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲗ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ, 19 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲨᲔᲬᲝᲜᲘᲚᲘᲐ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲗ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲡ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲝ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲡ.

რა ცვლილებები განიცადა მასწავლებელთათვის სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატის (75 ლარი) მიცემის შემთხვევებმა?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილი ამა წლის 19 სექტემბრის ცვლილების თანახმად, პედაგოგს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდას, სრული ან სრულზე მეტი დატვირთვის შემთხვევაში მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი, ყოველთვიურად, 75 ლარის ოდენობით (19 სექტემბრის ცვლილების თანახმად, სრულ ან სრულზე მეტ საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით ამოღებულია იმპერატიული დანაწესი „უნდა ჰქონდეს“). ახალი ცვლილების თანახმად, 75-ლარიანი დანამატი მიეცემა სერტიფიცირებულ პედაგოგს იმ შემთხვევაშიც, თუ დაწყებითი საფეხურის პედაგოგის დატვირთვა შეადგენს კვირაში 14 საათს.

19 სექტემბრის ცვლილების თანახმად, 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე, 75-ლარიანი დანამატი მიეცემა სერტიფიცირებულ პედაგოგს (გარდა დაწყებითი საფეხურის პედაგოგისა), რომლის სამუშაო დატვირთვა კვირაში შეადგენს 15-17 საათს.

ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲮᲛᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ?

არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს იმავე სკოლის:

ა) სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგნების მასწავლებლებს;

ბ) მოსწავლის მშობელს პრინციპით: „ერთი მოსწავლე-ერთი ხმა“.

საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში.

არჩევნებში კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს მასწავლებელს და მშობელს.

ᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲡ?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №30 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ დებულების თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სამეურვეო საბჭოს არჩევნების ჩატარების ხელშეწყობისა და ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, ნიშნავს არჩევნების კოორდინატორს და განუსაზღვრავს მას სამოქმედო ტერიტორიას. კოორდინატორი მინდობილ ტერიტორიაზე საჯარო სკოლებში ზედამხედველობს საარჩევნო კომისიის წევრების და სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების რეგისტრაციის პროცედურას, ხელს უწყობს საარჩევნო კომისიების მუშაობას, უფლებამოსილია საარჩევნო კომისიას მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები. საგანმანათლებლო რესურსცენტრი ვალდებულია, ხელი შეუწყოს კოორდინატორის მუშაობას და ამ მიზნით, შეასრულოს კოორდინატორის ცალკეული მითითებები.

ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲖᲝᲛᲔᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ, ᲠᲐᲪ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲖᲘᲐᲜᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲔᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲡ.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ წᲔᲕᲠᲘ – ᲑᲐᲠᲔᲨᲔ ᲞᲘᲠᲘ?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №30 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სკოლის საკმარისი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი ან საშუალო საფეხურის მოსწავლე არ გამოთქვამს საარჩევნო კომისიის წევრობის სურვილს, მათ ნაცვლად, საარჩევნო კომისიის წევრი უნდა იყოს გარეშე პირი. თუ სკოლას არ აქვს საშუალო საფეხური, საარჩევნო კომისიაში, მოსწავლის ნაცვლად, საარჩევნო კომისიის წევრად შეყვანილ უნდა იქნეს გარეშე პირი. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნების კოორდინატორს უფლება აქვს, განსაზღვროს იმ გარეშე პირთა ვინაობა, რომლებიც შეყვანილ იქნებიან საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

დებულებით განსაზღვრულია მხოლოდ ის, თუ ვინ არ შეიძლება იყოს გარეშე პირი. იგი არ შეიძლება იყოს ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატი, ამავე სკოლის დირექტორი/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე/სასწავლო ნაწილის გამგე, ამავე სკოლის ბუღალტერი/სამეურნეო ნაწილის გამგე; პირი, რომელიც ქმედუუნაროა; პირი, რომელიც შეზღუდულქმედუნარიანია (გარდა სრული ზოგადი განათლების მესამე საფეხურის მოსწავლისა); პირი, რომელიც არის სხვა სკოლის საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი, ასევე ამავე სკოლის მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, მათი ახლო ნათესავი. დებულება არ განმარტავს იმას, თუ ვინ შეიძლება იყოს გარეშე პირი.

ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲢᲝᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ წᲔᲕᲠᲘᲡ – ᲑᲐᲠᲔᲨᲔ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲪᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲛᲬᲣᲠᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲡ, ᲗᲣ ᲕᲘᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲑᲐᲠᲔᲨᲔ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ. ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲬᲔᲡᲘᲡ ᲛᲙᲐᲤᲘᲝ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲔᲭᲕᲘᲫᲕᲔᲨ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ წᲔᲕᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲓᲐᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲡ.

რა წესით განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა და როგორ ხდება არჩევნებში გამარჯვებული სამეურვეო საბჭოს წევრთა გამოვლენა?

სკოლაში, რომელშიც არჩევნების დანიშვნის დღისათვის სწავლობს 500 მოსწავლეზე მეტი, სამეურვეო საბჭოში აირჩევა 12 წევრი, ხოლო სკოლაში, რომელშიც არჩევნების დანიშვნის დღისთვის სწავლობს 500 მოსწავლეზე ნაკლები – 6 წევრი. იმ სკოლებში, რომლებშიც არჩევნების დანიშვნის დღისათვის სწავლობს 500-ზე ნაკლები მოსწავლე და სწავლება ხორციელდება მხოლოდ ორ საფეხურზე, მშობელთა საფეხურების მიხედვით, თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად აირჩევა სამეურვეო საბჭოს 8 წევრი.

6-წევრიანი სამეურვეო საბჭოს არჩევნებისას მასწავლებლების არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება უმეტესი ხმების მქონე 3 მასწავლებელი, ხოლო 12-წევრიანი სამეურვეო საბჭოს არჩევნებისას – უმეტესი ხმების მქონე 6 მასწავლებელი. 6-წევრიან სამეურვეო საბჭოს მშობელთა არჩევნებში, თითოეულ საფეხურზე, გამარჯვებულად ჩაითვლება იმავე საფეხურის კანდიდატურებს შორის უმეტესი ხმების მქონე მშობელი, ხოლო 12-წევრიანი სამეურვეო საბჭოს მშობელთა არჩევნებში – თითოეული საფეხურის კანდიდატურებს შორის უმეტესი ხმების მქონე თანაბარი რაოდენობის მშობელი. 8-წევრიანი სამეურვეო საბჭოს არჩევნებისას მასწავლებლებს შორის არჩეულად ითვლება უმეტესი ხმების მქონე 4 მასწავლებელი, ხოლო მშობლებს შორის – იმავე საფეხურის კანდიდატურებს შორის უმეტესი ხმების მქონე 2 მშობელი. იმ სკოლის სამეურვეო საბჭოში, სადაც არსებობს მხოლოდ 1 საფეხური, 6-წევრიან სამეურვეო საბჭოში აირჩევა 3 მშობელი, ხოლო 12-წევრიანში – 6. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, საარჩევნო კომისია ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს იმ კანდიდატებს შორის, რომელთა ხმებიც გაიყო. არჩევნების მეორე ტური ტარდება არჩევნების პირველი ტურიდან არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა. მეორე ტურში გამარჯვებულად ითვლება უმეტესი ხმების მქონე კანდიდატი.

ᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ წᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲘᲒᲘ?

სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევნები ტარდება სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 20 დღისა. დაუშვებელია არჩევნების დანიშვნა არდადეგების პერიოდში. სამეურვეო საბჭოების არჩევნების დღეს ნიშნავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. კენჭისყრა იმართება არჩევნების (კენჭისყრის) დღის 10 საათიდან 16 საათამდე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ წᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ „ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ“. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲜ ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲒᲐᲔᲪᲔᲛᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲛᲬᲣᲠᲐᲕᲘ �პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ.

სიახლე!



სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი** (ახალი)
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ** (ახალი)
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი** (ახალი)
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**

გამომცემლობა „ღიმენესა“ და „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე

~~11 ლარი~~

9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

თამარ ბეროზაშვილი

10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~10 ლარი~~

4.90 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~17 ლარი~~

14.90 ლარი

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი

ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

ორტომეულის ფასი 16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

ფასი 5,70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-IV ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK